

სამშენებლო სამუშაო



№ 10




მ. შ. რელიტაძის. — მ. შ. რელიტაძის.



1911

შინაარსი.

I—ლეე ტოლსტოი, — სურ.	1
II—შემოდგომა, — ლექსი ა. შანშიაშვილის	3
III—ოცდა-ოთხი, — დ. ვედრებისეფის	4
IV—ზურაბის თარი, — დემნა მროველის.	13
V—ტყის ოხვრა, — ლექსი გ. ქუჩიშვილის	19
VI—მკითხავი, — (გერმანულით) ა. შიქაბერიძის	20
VII—გეჩაზე, — ს. დადიანის	26
VIII—ორი მხატვარი, — შემდეგი: (თარგმანი) დ. ავალიანის.	35
IX—მიქელ თამარაშვილი, — ა. ყიფშიძის	43
X—ლაზური ზღაპრები III, (ჭანეთში ჩაწერილი) ი. ყიფ- შიძის	47
XI—უმავთულო ტელეგრაფი, — (თარგმანი), — დ. ჯანაშვი- ლის	51
XII—ტროადის ომი, — ად. შიქაბერიძის.	57
XIII—გასართობი, შარაღა და რებუსი.	64



ნაპაღ უღი

საქმანწვილს ჟურნალი

წალიწალი მუწვილა.

ოქტომბერი, 1911 წ.



ლევ ტოლსტოის სურათი.



ეს სურათი ტფილისის საავადმყოფოს ახალგაზდა მებაღე ვასილ ბეჟანა-
შვილმა გააკეთა, ხელოვნურად დარგულ სხვა-და-სხვა ყვავილებსაგან.

შინაარსი.

I—ლეე ტოლსტოი, — სურ.	1
II—შემოდგომა, — ლექსი ა. შანშაიშვილისა	3
III—ოცდა ოთხი, — დ. ვედრებისეფისა	4
IV—ზურაბის თარი, — დემნა მრავეფისა.	13
V—ტყის ოხვრა, — ლექსი გ. ქუჩაშვილისა	19
VI—მკითხავი, — (გერმანულად) ა. მიქაბერიძისა	20
VII—გეგაზე, — ს. დადიანისა	26
VIII—ორი მხატვარი, — შემდეგი: (თარგმანი) დ. ჯვალანისა.	35
IX—მიქელ თამარაშვილი, — ა. უიფშიძისა	43
X—ლაზური ზღაპრები III, (ჯანუთში ჩაწერილი) ი. უიფ- შიძისა	47
XI—უმავთულო ტელეგრაფი, — (თარგმანი), — დ. ჯანაშვი- ლისა	51
XII—ტროადის ომი, — ალ. მიქაბერიძისა.	57
XIII—გასართობი, შარადა და რებუსი.	64






ზემო ღვინა.



რიალით სცვივა
ფოთოლი ტყესა;
გაძრცვნილ ბუჩქისა
მოისმის კვნესა!

ნისლი, ზურუსი ნელად მოსცურავს,
ვით შავი ღამე, მიდამოს ჰბურავს.
მუხა მხცოვანი, ცად აღმართული,
წვიმა ქარიშხალს არ უშინდება,
ელის გაზაფხულს, ელის მზის სხივებს,
სწამს— მზე დიადი გამობრწყინდება!

ა. შანშიაშვილი.





მ ც ლ ა - მ თ ხ ი .



მ ც ლ ა - მ თ ხ ი

აქრის ფერ ღრუბელში ჩაფუ-
თნული იყო მზე და სიცივე მო-
ჰბერდა მალალ მთებიდგან.

შემოდგომა ილევოდა. ბილი-
კები მიიკლაკნებოდა პატარა
სოფლიდან, რომელსაც სახე-
ლად ნავალი ეწოდებოდა და
ჯერ ღიმალეობოდა მალალ ხევბ
შუა ტყესავით ატეხილ ეკლებ-

ში, მერე ერთ-ერთი ბილიკი თავდებოდა ორ უზარ-მაზარ ხე-
სთან, რომელიც გაედოთ მდინარე წყალზე.

ხილს იქით მიიკლაკნებოდა სხვა ბილიკი და სწორედ სა-
სოფლო სკოლის პირ-და-პირ თავდებოდა.

ზენა ქარი შეეპარა თელისა და კაკლის ტოტებსა. პეპე-
ლების მზგავსად აწითლებული ან გაყვითლებული ფოთოლი
მიფრინავდა აქეთ-იქით; შორიდან მოსჩანდა წითელი კრა-
მიტი სკოლისა.

ამ კრამიტს რომ დაინახავდა ილიკო, მოისვენებდა ხოლ-
მე, თითქო მზის შუქი ჩაეფინა გულშიო. ჯირკვზე ჩამოჯდებ-
ოდა და მოიგონებდა თავის ქოხს.

ავადმყოფი მამა, დიდის ჯაფით დაღალულ-დაქანცული დედა, მოვალე ნესტორა;—რაც პური მოუვიდათ, ნახევარი სარგებელში მისცეს ამ ნესტორას. ცივი ქოხი, უშემობა; მამას არა ჰქონდა სამი მანეთი, ტყის ფული ვერ შეიტანა და ტყეში აღარ შეუშვეს.

— მასწავლებელი კიდევ გამიჯავრდება: არც დედა-ენა მაქვს, არც რვეული; მელანი ბატონიანთ მებაღე ზალიკამ მაჩუქა: ისიც გამომელაია,—ფიქრობდა ილიკო:—კალამი არა მაქვს. ნეტავი შინ დარჩენილფიყავი... მაგრამ როდემდინ? ზვალაც, ზეგაც, მაზეგაც... თავის დღეში არაფერი არ მექნება: არც კალამი, არც წიგნი. სულ ხომ შინ არ ვიქნები.— ბავშვმა ამოიოხრა და კიდევ შეჰხედა წითელ კრამიტს.

მუდამ დღე, რაც აცივდა, სკოლაში ღუმელი ერთო და იქ ითბობდნენ გვერდებს შეგირდები და უხაროდათ.

ბუჩქებში დაინახა ამხანაგები, მოესმა იმათი ხმა, მოშორდა ჯირკვსა და ბავშვებისკენ გაიქცა.

— ილიკო! დღესაც უწიგნო მოხვედი? — ჰკითხა შვეთვალა ნიკომ.

— მა ვინ მამცემდა? ქალამანი ძლივს იყიდა მამა ჩემმა, რა ჩემი წიგნისა სცხელოდა?

— მარტო შენა და ჯაგიაანთ ბესოს არა გაქვთ წიგნი.

— რა ვქნა? — ამოიოხრა ილიკომ და დაღონებული ავიდა პატარა კიბეზე.

ჩვეულებრივ დაიწყო მასწავლებელმა ეგნატემ გაკვეთილი.

— იკო. ბაბაღეშვილი!

— სკამიდან ადგა ტან-დაბალი ნიკო, გაისწორა დაფხრეწილი ახალუხი, აჭრელებული სხვა-და-სხვა ფრის დაკრებულ ნაჭრებით და ზეპირად უპასუხა.

— სხვებმაც ისწავლეთ ეს ლექსი? — ჰკითხა ეგნატემ შეგირდებს.

— დიად! — უპასუხეს შეგირდებმა.

მხოლოდ ილიკო და კიდევ ცხრა მისი ამხანაგები ჩუმად. ილიკოს ეშინოდა ეგნატესი და ამხანაგის ზურგს ეფარებოდა.

— პატუაშვილი!

ილიკო უნდომლად ადგა და ჩალუნა თავი.

ეგნატემ შეატყო, რა დარდიცა ჰქონდა ილიკოს და წყნარად ჰკითხა:

— აქამდე მამაშენმა ვე, გიყიდა წიგნი? აკი ამბობდა მოსავლის დროს უყიდი ილიკოს, რაც შეგირდს უნდაო.

— მოსავალი, მართალია, მოგვივიდა, მაგრამ ერთის თვის შემდეგ პური დაგვაკლდება: ზოგი ღალაში ბატონებს მივართვით, ზოგი მოვალეებმა წაიღეს; ჩვენი სარჩო აქა-იქ წაიღწამოიღეს.

— მა რა ვქნათ, შე კაი კაცო?—დრო მიდის, აგერ გიორგობის თვე თავდება, შენ-კი წიგნი არა გაქვს. აბა, შენ რომ კარგად შეგენახა შარშანდელი წიგნი, ამ დღეში არ იქნებოდი.

— აკი შეინახა! — დაიწყეს ბავშვებმა სიცილი: — ღორს მიაბარა.

წარსულ ზაფხულს ილიკოს წიგნი შემთხვევით ჩავარდნილიყო პურის ცომის ვარცხლში; ღორს დაუნახავს უპატრონოდ დატოვებული ვარცლი, უკრამს დინგი, გადაუბრუნებია ამოუსლაპია დაუზღლავი ცომი და დაუღეჭნია ილიკოს წიგნი.

ილიკო იდგა თავ-ჩალუნული, შემკრთალი.

— რაღასა დგეხარ?—უთხრა მასწავლებელმა: — დაჯექი. უსათუოდ ამ კვირია გქონდეს „დედა-ენა;“ ამხანაგებსა სთხოვე, გათხოვებენ.

— დიად, როგორ არა? ჩვენი წიგნებიც უნდა ღორს დააღეჭინოს?—წაიბურთხუნეს ილიკოს მეზობლებმა.

— ჭინჭილაშვილო, იცი დღეს ზეპირად?

— დიად, ბატონო!

— სთქვი!

— ბალი და ჩიტი...

— ყოჩაღ! დღეს კარგად იცი! დაჯექი!

— მასწავლებლო, მე მკითხე!

— მე! მე!

ილიკოს მეტმა სუყველამ აიშვირეს თითი.

ილიკო მობუზული იყო. საცოდავად იჯდა.

როგორც-კი სკოლის დარაჯმა დაჰკრა ხარი, ბავშვები ჟღავი-ჟღუვიით გაიფანტნენ პატარა აივანზე.

მხოლოდ ილიკო შორი-ახლო იდგა, ხელები ჯიბეში ჩა-
ეწყო და საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა.

იმისი ფიქრები იყო შორს, დედმამის ქოხში.

ილიკოს მამა მიქელა გაქართველებული ოსი იყო, სუ-
ყველაზე ღარიბი ხიზანი. მებატონის ტყეში ვერა ჰბედავდა
სიარულს, რადგანაც ბილეთის ფასი ვერ შეიტანა. არა ჰქონ-
და შეშა; იმათ გაშავებულ პატარა ბუხარში იწოდა ჯირკვი
და ვერ ათბობდა დაცხავებულ კედლებსა; უღელი ხარი მო-
ვალეს მისცა მიქელამ: დარჩა ერთი ძროხა. პატარა ილიკოს
ძლივს უყიდეს ქალამნები: ძველ-ძულეებში გახვეული დადიოდა
საცოდავად. იცოდა თავის დედმამის გარემოება და ჩუმად
იყო; ვინც შეხედავდა, შეატყობდა დაღონებულ სახეზე, რა
დიდი ღარდი ჰქონდი გულში ამ საწყალს.

— დედაჯან! შეიძლება დავიჭიროო ჩემი ვარია?—ჰკითხა
ილიკომ დედას, როცა სკოლიდან შინ მოვიდა.

— რად გინდა, შვილო?

— სტრაჟნიკს მივცემ და ყარანდაშსა და რვეულს მა-
მცემს.

— ურიას დავპირდი მაგ ვარიკას; ერთ არშინ ამერიკას
იძლევა.

მამაშენს უნდა პერანგი დაუკერო, — დაღონებით უბასუ-
ხა დედამ.

— კარგი! მშვიდად ჰსთქვა ილიკომ და გავიდა კარზე.

II

ჩემად მიეპარა ღამე ნავალს, მოდიოდა თოვლი.

პატარა სადა ღამპარი საცოდავად ბეუტავდა კუნჭულში, ბუხარსა და ფანჯარას შუა. ბუხართან ისხდნენ ცოლ-ქმარი და ილიკო. მიქელა ისხავდა ქალამანსა; სოფი — ბუმბულს არჩევდა. ილიკო აშრობდა თავის დასველებულ წინდებსა.

— თუ ახლა ვერ გაშრა ეს წინდები, როგორ წავალ სკოლაში?

— შინ დარჩები! სხვა, აბა, რა გითხრა? — გულის მოსვლით უპასუხა ილიას მამამ.

— მასწავლებელი ხვალ აგვიხსნის ახალ ლექსებს.

— ჰო! შენ თუ ახალი ლექსები არ ისწავლე, ქვეყანა დაინგრევა, შენმა მზემ!

— შენც რა ახირებული კაცი ხარ? — შეუტია სოფიომ მიქელას: — მა რათ მიაბარე ეს საცოდავი, თუ მაგის შინ ყოფნა გინდოდა?

მიქელამ ვერ მოასწრო პასუხის მიცემა, რომ გარედან შემოისმა ძაღლის ყეფა და ხმაურობა; სოფიოს გული აუკანკალდა; აქა-იქა მაზრაში დადიოდა ორი-სამი ყაჩაღი; არა ჰზოგავდნენ არც გლეხსა, არც აზნაურსა, არც ავსა, არც კაი კაცსა. სიფრთხილით კარები გააღო მიქელამ და ხმაზე იცნო მებაღე ზალიკა.

— რას შეგიკეტნია კარები ასე ადრე? გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! შენა ხარ, ზალიკა? ეგ მეორე ვინ არი? ჩვენი მოჯამაგირე ივანეა, ქალაქს იყო და მელიკოს რაღვებიც გამოუგზავნია ილოსთვის.

ზალიკა შევიდა სახლში; ივანემ ძლივს შეიტანა ყუთი, რომელიც თოკით იყო გადახლართული.

ილიკომ რომ გაიგო მელიკოს სახელი, გული აუფანცქალდა და თვალები ყუთზედ დარჩა.



— ნეტა რა არი ამაში? — მხიარულად ჰკითხა ხალიკამ სლოფიომ საღმის შემდეგ.

— გახსენით და გაიგებთ, რაც არის? — უპასუხა ივანემ.

ილიკომ ამოიღო გოდრიდან ცული, მარდად ახსნა ყუთს თოკები, ცულით აჭხადა თავი და, როცა გაუაწვინეს ფიცრები, ერთს წუთს გაშტერებულნი უტკეპროდნენ იმას, რაც შიგ დაინახეს.

— ეს ჩემ ილიკოსთვის იქნება! — მხიარულად სთქვა სლოფიომ და ამოიღო რიგიანად დაკეცილი მიხაკის ფერი ბამბაზის ხალათი, შარვალი, თასმის ქამარი.

— დედაჯან! ეს ჩემთვის გამოგზავნა მელიკომ? — გაუკვირდა ბავშვსა.

— მელიკომ შემოგითვალა: კარგად ისწავლე და არ მოგაკლებ ამისთანებსაო! — უპასუხა ივანემა, — წერილიც გამომატანა თქვენთანა: აი, ამოვალაგოთ და შემდეგ მოგცემ.

ზალიკამ კედლიდან ახსნა ლამპარი და მიანათა ყუთს.

ივანემ დაიწყო ამოლაგება.

ილიკომ თვალი ველარ მოაშორა სხვა-და-სხვანაირ ნივთსა.

— დედა-ენა! — გაუხარდა ილიკოს და გულზე მიიკრა პირისფერ ყდაში ჩამჯდარი წიგნი.

— ეს რა არის ქვეშა?

— არ ვიცი, მგონი რვეულებია!

— აბა, აბა! მაგდენი, ოცდა-ოთხი რად უნდა ილოსა?

— ესეც ყარანდაშები: ერთი, ორი, სამი!..

— ოცდა-ოთხი ყარანდაში; მე რად მინდა ამდენი?! — გაუკვირდა ილოსა.

— აი, რვეულები; ესეც ბლომად არის: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი — ოცდა-ოთხი.

— კალმებია; მგონი კალმის ტარები მანდაა, კუთხეში; მაჩვენე! — უთხრა ივანეს ზალიკამა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი!

კალმებიც და კალმის ტარებიც გამოვიდა ოცდაოთხი.

— ეგ რა არის რბილად შეხვეული? — ჰკითხა ივანეს სოფიომ.

— თავშლებია; ერთი, ოთხი, ხუთი, ექვსი, ათი...

— დედაჯან! ნაბდის ქოდებია სულ ქვეითა!

— ერთი, ორი, სამი! თოთხმეტი!

— აბა, ერთი წერილი წაიკითხე, ზალიკა! იქნება სხვის-თვისაც არის ეს ნივთები? ამდენ ქუდს მარტო ილოს რად გამოუღზავნიდა? გახსნეს კანვერტი საჩქაროზე, წაიკითხეს წერილი.

„ჩემო პატარა ილიკო!“ - სწერდა მელიკო — „შენმა მასწავლებელმა მიამბო, რა კარგად თურმე იქცევი, და ძიელ ვისიამოვნე. მიხარია, რომ ეგრე დედმამის მორჩილი ხარ, გებრალბება დედ-მამა. შველი, რითაც შეგიძლიან, სკოლაშიც ერთგული შეგირდი ხარ და კაი ამხანაგი. ვიცი თქვენი სიღარიბე, გიგზავნი საკუთრად შენთვის ტანისამოსსა და ერთ ქუდსა. მასწავლებელმა მითხრა, სუყველაზე ტიტვლად ილიკო დადიხო. აგრედვე „დედა-ენას“ გიგზავნი. არის კიდევ 24 რვეული, 24 ყარანდაში, 24 კალმის ტარი, საერთოდ თქვენის სკოლისთვის; წაუღე მასწავლებელსა; აგრეთვე თავშლები და ქუდები, საპნები, პირსახოცები, ქამრები. იმედი მაქვს, რომ საშობაოდ ერთმანეთს ვნახამთ: სოფელში მოვალ. მომიკითხე შენი დედ-მამა.“

„მელიკო.“

ცივი რიჟ-რაჟი შიადგა მიქელას ქოხსა.

ბუხარში ჯირკვი მიფერფლილიყო. ოღნავ ჩანდა წითელი ცეცხლი, თითქო აქა-იქა დაუყრიათ ბროწეულის მარცვლებიო.

ილიკოს სიხარულით აღარ დაეძინა.

იმის სიცოცხლეში ამისთანა სასიამოვნო საღამო, როგორც წუხანდელი, როცა ზალიკამა და ივანემ მიუტანეს მე-

ლიკოს ფეშქაში, არა ყოფილა; არც ამისთანა ბედნიერი დი-
 ლა გასთენებია თავის დღეში. გაიღვიძა მოკლე და მაგარ ძილს
 შემდეგ; გაუხარდა, რომ განთიადმა ცისფრად შემოიხედა პა-
 წია ფანჯარაში.

საჩქაროზე ადგება ილიკო, მელიკოს გამოგზავნილ ყვი-
 თელ საპნით დაიბანს პირსა, გადაივარცხნის ქაჩორსა, ჩაიცი-
 ვამს ახალ ტანისამოსსა, დაიხურავს ახალ ნაბღის ქუდს; მი-
 ქელაც თან გაჰყვება დღეს ილოს, რადგანაც სკოლაში წასა-
 ლებია ყუთი, ახსენებს ღმერთს, შეევედრება, რომ მელიკოს
 და სუყველა მის მზგავს ადამიანიშვილს, რომელიც ფიქრობს
 ღარიბებისა და უბედურებისათვის, ჰშველის იმათ, რითაც შე-
 უძლიან, იმათ ღმერთმა მისცეს ჯანისსიმთელე და ყოველი
 სიკეთე.

— კუნძულაშვილების ორივე გოგოებს არც ყარანდაშე-
 ბი აქვთ, არც რვეულები: თავშლები ძონძის მზგავსები ადევთ
 თავზედ; ციციკურაშვილები ორივენი უქუდო დადიან... რო-
 გორ გეეხარდებათ! სიხარულით ფეხზე აღარ იქნებიან!

— შვილო, სად მიდიხარ ასე ადრე?— გაუკვირდა დედას,
 როცა დაინახა ჩაცმული ილიკო.— მოგწველ ძროხას, ავიდუ-
 ლებ რძეს; პური ჩაიყარე, ქამე და ისე წალი.

— არა, დედაჯან, დღეს ადრე წავალ, — მხიარულად უპა-
 სუხა დედას შვილმა: — პურს შევქამ, ხახვს შევატან, რძეს არ
 მოუცდი! — მამა! — მიუბრუნდა მიქელას, რომელიც ქალამნებს
 იცვამდა: — ცოტა დრო დარჩა, წავიდეთ:

— წავალთ, შვილო, წავალთ. დამაცალე.

— შუადღეა.

ბავშვების ჯგუფი ორღობებში მხიარულად მოდიოდა.

— მელიკომ არავის არ აწყენინა: 24 რვეული, 24 ყა-
 რანდაში...

— მე უფრო ახალი ქუდი მიხარინ!



— კალამი და მელნიანი შუშა-კი არ გიხაროიან? — შეუტია პატარა შავთვალა ნინამ.

— რა მეკალმებოდა? — გაჯავრებით უპასუხა პატარა რაჟდენმა: — თავი უქულობით მიშეშდებოდა! ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი მელიკო!

ამ სიტყვებით გაირბინა რაჟდენმა და შიგ თოვლში ყირამალა გადავიდა.

ამხანაგებმა დაჰკრეს კიჟინა და მისცვივდნენ.

აქეთ-იქით მიიკლაკნებოდა თოვლში დაშავებული ბილიკები პატარა სოფლებისკენ... მიდიოდნენ იმ ბილიკებით სკოლის შეგირდები და ჰქონდათ ერთი ჟივილ-ხივილი.

— მელიკომ არავის გულს არ დააკლო: ჩვენა ვართ ოცდა ოთხი შეგირდი: სუყველა ფერი გამოუგზავნია სწორედ ოც-ოცდა ოთხი.

— ოცდა ოთხი ხელის საპონი!

— ოცდა ოთხი მელანი!

— ოცდა ოთხი ყარანდაში!

— ოცდა ოთხი პირსახოცი!

სულ შორს ისმოდა ხმა-მალლა ლაპარაკი, მეტადრე ორი სიტყვა:

— ოცდა ოთხი!

ეს ორი სიტყვა ოქროს სიტყვებად გადაიქცა სოფლის საცოდავ ბავშვებისათვის. ასე ეგონათ, ეგ ორი სიტყვა ჩირაღდანია, რომელიც ლამაზად აშუქებს ჩვენს შავ-უკულმა ცხოვრებასაო.

მითამაშობდნენ ბავშვები სიხარულით და ეჩქარებოდათ სახლში ჩქარა მისვლა, რათა ეხარებინათ თავის დედ-მამისათვის, თავის უფროსებისათვის, რომ ერთი შორს მყოფი და კეთილი ადამიანი ასე გულით ჰზრუნავს პატარა ღარიბ გლეხთა შვილებისათვის და შველის, რითაც შეუძლიან!..

დ. ვედრებისელი.



ზურაბის თარი.

I



ვა წლის გოგია დარბაზის შუაგულს იდგა და კედელს შეჰყურებდა. კედელზე ათასგვარი ძველებური იარაღი ეკიდა: სწორე და მრუდე ხმლები, ვერცხლისა და ძვლის ტარიანი სხვა-და-სხვა ზომის ხანჯლები, დამბაჩები, თოფები და აბჯარ-მუზარადი. განზე, ცოტა მოშორებით, ერთ მხარეს დაირა ეკიდა, მეორე მხარეს — თარი. ამ ნივთებს, დაირას გარდა, ხელს არავინ ახლებდა და მხოლოდ შორიდან უყურებდნენ სიამოვნების ღიმილით. გოგიას მამას, ზურაბს, ხშირად უამბნია თავის პატარა ბიჭიკოსათვის ამ იარაღის თავგადასავალი, ყველაფერი დაწვრილებით აუწერია მისთვის, რა და რა ომში და ვინ ხაზრობდა, ან ვისგან რა ჰქონდა ნაჩუქარი. ეს ყველა კარგად იცოდა გოგიამ, მაგრამ ერთი უკვირდა: რა-



ქართული
საბჭოთაო
აკადემია

ტომ მამამ ერთხელ მაინც არ მიამბო, აი, ამ თარის ამბავს?
ისიც ხომ იქვე ეკიდა! ან რატომ ერთხელ მაინც არ ჩამოი-
ღებს მამა თარს და არ დაუკრავს, როდესაც ბიძია ზაალი ასე
ხშირად უკრავს ხოლმეო?

ხან-და-ხან, როდესაც სტუმრები შეიყრიან ხოლმე თავს,
დედა დაირას ჩამოიღებს და უკრავს, მთელი ლხინი გაიმართე-
ბა ხოლმე და ეს თარი-კი მუდამ ხელ-უხლებლივ ჰკიდია თა-
ვის ადგილს. იარალი, ვსთქვათ, არა სჭირდება მამას—სხვა,
ახალი აქვს და ძველის ჩამოღება არ უნდა, მაგრამ თარი ხომ
ერთი აქვს?! განა დაკვრა არ იცის? მაშ, ბიძია ზაალი რალად
ამბობს: „ეჰ, ერთს დროს, ზურაბი რომ თარს ააქედერებდა,
ხალხი სმენად გადაიქცევოდა ხოლმეო!“ მერე ბიძია ამოი-
ოხრებს, ერთხელ კიდევ ჩამოჰკრავს თარის სიმებს და კედელ-
ზე ჩამოჰკიდებს ხოლმე.

გოგიამ ხელები ჯიბეში ჩაიწყო, თარს თვალი მოაცილა
და გამობრუნდა.

— წავალ, დედას ვკითხავ!—გაიფიქრა გოგიამ გულში
და დედასთან გაიქცა.

გოგიას დედა, კატო, აივანზე იდგა; მოაჯირს გადაჰყუ-
დებოდა და ეზოს გადაჰყურებდა; ეზოში გოგო ახლად გარე-
ცხილს და ლასტზე დაყრილს ხორბალს ჰყარაულობდა, რომ
ჩიტებს ან შინაურს ფრინველს არ აეკენკა.

— მარო, მაიას უთხარ. ქათმებს ნაკმაზი დაუყაროს; გა-
დარევე ეგ ქათმები და ბაღში შედი, ცოტა ხილი ამოიტანე!
— გადასძახა კატომ გოგოს.

— ეხლავე, ქალბატონო,— უპასუხა მარომ და წვირილ-
ფეხს გაუქშია,— აქმა-აქმა! ქმა-ქმა!

კატო გამობრუნდა და იქვე მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.
ამ დროს გოგია ოთახიდან გამოცუნცულდა, გაექანა დედისა-
კენ და ყელზე ჩამოეკონწიალა.

— დედილო, ჰა, დედილო!

— რაო, ჩემო გვრიტო? — შეეკითხა დედა გოგისა, გულში ჩაიკრა და გადაჰკოცნა.

— რატომ მამა თარს არ უკრავს?

— არ ვიცი, გენაცვალოს დედა!

— დიად-დიად! არ იცი. არ გინდა მითხრა და იმიტომ მეუბნები, არ ვიციო.

— განა ყველაფრის კითხვა შეიძლება, გოგი! როცა გაიზდები, მაშინ გაიგებ, — უპასუხა დედამ და ღრმად ამოიოხრა.

— რატომ არ შეიძლება კითხვა? თუ-კი მინდა ვიცოდე! ძია უკრავს თარს და მამა-კი არა, — გაიბუტა გოგია.

— ძიას უყვარს, ჩემო პატარავ, და მამას-კი არ უყვარს თარის დაკვრა, — აკანკალებულის ხმით უპასუხა დედამ, რომელსაც ცრემლი ახრჩობდა.

— არა, მამასაც უყვარს თარის დაკვრა, მაგრამ არ უკრავს, — აიხირა გოგიამ.

— ვინ გითხრა, რომ უყვარს? ტყუილი უთქვამთ, შევილო! — შეშინდა დედა.

— ვინ მითხრა და ძია ზაალი ამბობს ხოლმე. რამდენჯერ გამიგონია იმისაგან.

— წინად უყვარდა მამას თარის დაკვრა, შევილო, და ახლა მისთვის აღარა სცალიან.

— სტუმრები როცა არიან ხოლმე, რატომ მაშინ მაინც არ უკრავს? მაშინ ხომ სცალიან, — ბუზღუნებდა გოგია.

— ნუ იცი ახირება, გოგია! ჩააცივდები ადამიანს და შეგებას აღარ მისცემ.

— მითხარი, დედილო, შენი ჭირიმე! — ელიჰინებოდა მაინც გოგია.

— თუ ეგრე ჩამაცივდები, გავჯავრდები და შენი დედა აღარ ვიქნები! — დასტუქსა დედამ პატარა.

— მითხარი და აღარ ჩაგაცივდები. რატომ არ მეუბნები?



— გამეცალო, დაუდგარო! შენთვის არა მცალიან. ახლოს აღარ მომეკარო! — გაურისხდა დედა გოგიას.


გოგია გაიბუტა და განზე გადავა. თარი გონებიდან აღარ შორდებოდა. დედა თავის დღეში არ გასჯავრებია ასე, მუდამ უაღფერსებდა ხოლმე და ახლა-კი ასე გაჯავრდა და არც თარის ამბავი უთხრა. მერე რამდენი ეხვეწა! აღბად რამ მიხეზია.

— მაშ, მამსა ვკითხავ! — გადასწყვიტა გოგიამ, — სალამოზე, როგორც-კი მამა ქალაქიდან დაბრუნდება, მაშინვე ვკითხავ!

II

სოფელში ნახირი ის-ის იყო მორეკეს, როდესაც ზურაბმა თავის კარმიდამოზე ცხენი შეაჭენა. ცხენი ბიჭს გადასცა, მოიხადა ქუდი, ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და სახლში ავიდა. გოგიამ მამა ორლობეშივე შენიშნა აივნიდან და, როცა ზურაბი ცხენიდან ჩამოხდა, ხტუნაობით მიეგება აივანზე. ზურაბმა შვილი ხელში აიყვანა, შუბლზე აკოცა და ისევ დასვა. გოგიას უნდოდა მაშინვე ეკითხა მამისათვის თარის ამბავი, მაგრამ მამა დაღალული იყო, შეეცოდა და მოცდა ამჯობინა.

ცოტა ხანს შემდეგ, ბაღში, კაკალ-ქვეშ გოგიამ სუფრა გაშალა და ჩაი მოიტანა. ზურაბს ჩვეულებადა ჰქონდა, როცა საიდანმე დაბრუნდებოდა, უეჭველად ჩაივლიდა სახლს წინ გადაჭიმულს ბაღსა და ვენახში და იქაურობას მზრუნველ პატრონის თვალით დაათვალიერებდა; შემდეგ ყველანი კაკალ-ქვეშ თავს მოიყრიდნენ და ტკბილს საუბარში ატარებდნენ დროს. ახლაც, როცა ზურაბმა უკვე დაათვალიერა თავისი ბაღი და ვენახი და დაბრუნდა, კაკალ ქვეშ ცოლ-შვილი და ორი სტუმარი დახვდა. ზოგი მწვანეზე წამოწოლილიყო, ზო-



გი მუხლ-მოკეცილი იჯდა მწვანეზე და ბაასობდნენ. ცოლს მოუჯდა გვერდით.

გოგია მამას ახლო მიუჯდა, მუხლზე პატარა ხელი და-
აყრდნო და თვალეში შეჰხედა.

— მამი, მამილო! — გაუბედავად შეეკითხა გოგია მამას.

— ოჰ, გოლიათო, შენც აქა ხარ! — გაეხუმრა მამა და
გაიცინა. — რა გინდა, გოგი? აბა, ახალს რას მეტყვი?

— ის თარი ვისია, მამილო? — უცბად ჰკითხა გოგიამ მა-
მას და პასუხის მოლოდინში სული განაბა.

— რომელი, შეილო? — აირია ზურაბი და ბავშვს თვალი
მოარჩადა.

— აი, დარბაზში რომ ჰკილია!

— ჰო, ისა? — თითქოს არაფერიო, უპასუხა ზურაბმა
შვილს, — ჩემია! წადი, გოგი, გაიქე, სანდროს უთხარ, საქო-
ნელს ბალახი ბლომად მოუთიბოს.

— ლექსოს წელან მიჰქონდა, მამილო, ბალახი! — მოუქრა
მამას სიტყვა გოგიამ. — მაშ, შენია ის თარი?

— ჰო, შეილო, ჩემია! — გაიმეორა ზურაბმა და ერთხელ
კიდევ სცადა შვილის კითხვებს ასცილებოდა. — კატო, ერთი
ახალი ამბავი უნდა გაიმბო, ქალაქში გავიგე...

— მერე, მერე, მამილო! დაიცა, რა უნდა გკითხო, —
აღარ აცდიდა გოგია მამას და წვერზე პაწია ხელი მოუცაცუ-
ნა. — რატომ ერთხელ არ დაუკრავ თარს, თუ შენია? ბიძია
ზაალი ამბობს ხოლმე, მამა კარგად უკრავდა და ახლა-კი ღი-
დი ხანია თარისთვის ხელი არ უხლიათო.

— თარისთვის სადა მცალიან, ჩემო ბიჭიკო, ხომ იცი
ღრო არა მაქვს, — წაილულულულა ზურაბმა.

— როგორ არა გცალიან! როცა სტუმრები გვეყვანან, დედა
დაირას უკრავს ხოლმე და შენ რატომღა არ უკრავ თარსა?
იარალის ამბავი მითხარი, და თარისა-კი არც ერთხელ არ გი-
თქვამს... — ბუზღუნებდა გოგია. — წელან დედასა ვკითხე და
არც იმან მითხრა, გამიჯავრდა.

გოგია უფრო და უფრო ეკვროდა მამას; ხან ჩოხის სახელოებს გადაკეც-გადმოუკეცდა, ხან მასრებს ადგილს შეუცვლიდა და თან მუდარებით შეჰყურებდა მამას.

ზურაბმა აღარ იცოდა, რა ექნა. შვილი აღარ ეშვებოდა, თარის ამბავს სთხოვდა უცილებლივ და თითქმის ცრემლებიცი-კი ერეოდა თვალეებში. რამდენისამე წამის განმავლობაში ზურაბი თავის თავს ებრძოდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; ერთხანს დააპირა გასჯავრებოდა გოგიას ჩაცივებისათვის, მაგრამ იმდენად ჯყვარდა თავისი პატარა ბიჭიკო, რომ ეს ფიქრი მაშინვე უარჰყო. ბოლოს, როგორც იქმნა, გადასწყვიტა... ერთი მიძიმედ ამოიოხრა და შუბლზე ხელი გადასვა.

— რა ექნა, შვილო! იცის ღმერთმაც და ხალხმაც, ძნელია ჩემთვისაც და დედაშენისათვისაც ამ ამბის მოგონება, დაშუშებულ წყალოვივით კვლავ გადმოგვეშლება გულში ორივეს, მაგრამ მეტი ჯანი არ არის, უნდა გიამბო! — ამოჰხდა ზურაბს გულის სიღრმიდან.

კატომ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, წამორეულ ცრემლებისაგან შეწითლებული თვალეები მოიწმინდა და, გულ-ხელ დაკრფილი, აღელვებული მოემზადა ზურაბის ყურის სადგებლად. იქვე მყოფი სტუმრებიც სმენად გადაიქცნენ; სჩანდა, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა თარის ამბავი.

დემნა მროველი.

(დასასრული იქნება).





ტყის ოხვრა



აი, შვილებო, შვილებო,
 ფოთლებო
 შავის ტყისანო;
 უმწეოდ დარჩენილებო,
 ობლებო
 მზე-ბნელ დღისანო.

—
 სად მიხვალთ, სადა .. ვაიმე,
 ქარმა წაგიღოთ
 ტრიალით,
 სამარის კარი გაგიღოთ
 ხევს მიგაბარათ ღრიალით.

—
 ტყის ოხვრა, კვნესა, ქვითინი
 მთის ღრუბლებს ეყურებოდათ;
 მისი ცოდვით და ვაებით
 თვალთაგან ცრემლი სწყდებოდათ.

გ. ქუჩიშვილი.





ქვემოთა
12-15-1935



რძელსა და გაუთენებელს ღამეებში, როცა ძილი გაგიტყდება, ხშირად ჰხედავ ძველ ნაცნობთ, რომელნიც, დიდი, დიდი ხანია, არ გინახავს; თითქმის კიდევაც დაგვიწყებია.

ერთხელ მეც ასე მომივიდა. ღამე ძილი გამიტყდა. მთელი ღამე თვალებში მებლანდებოდა კუბატივით ჩასუქებული ყმაწვილი, რომელიც თხუთმეტის წლის წინად ჩემთან სწავლობდა გიმნაზიაში.

ცხადად ვხედავდი ჩემ ამხანაგის ჩვეულებრივ ლურჯ ტანთსაცმელს და მუდამ ზემოდ ამოჩაჩულ „ჟილეტს“, მის მუდამ მოკლე ლურჯ შალვარს და ბურთივით დარგვალეზულ თავს, რომელზედაც ულახათოდ ჩამოფხატული ჰქონდა ნახევრად ცისფერი ქული.

სწავლაში ეს ჩემი ამხანაგი დიდს წარმატებას არ იჩენდა, თუმცა არც ზარმაცობა ემჩნეოდა. მუდამ განმარტოებით და გულჩათხრობილი დადიოდა, თითქო ამხანაგებს განზრახ გაურბისო. ერთის სიტყვით, ეს ჩემი ამხანაგი ისეთი თავისებური ყმაწვილი იყო, რომლისასაც მოწაფენი ამბობენ ხოლმე „ლოქო“ არისო.

ეს თავისებურობა განსაკუთრებით მაშინ ემჩნეოდა, როცა მოწაფენი ფიზიკურად ვარჯიშობდნენ. ფიზიკურ ვარჯიშობას გიმნაზიაში იმ დროს დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს ჩემი ამხანაგი სამეცადინო ოთახში მუდამ მაგიდას უჯდა და, მეცადინეობის დროს ვივრად, მუდამ წერილების წერაში ათენებდა და აღამებდა.

თუ ამხანაგები ძალით არ წაგლეჯდნენ ხელიდან კალამს და ოთახიდან გარედ არ გამოაგდებდნენ, თითონ აზრადაც-კი არ მოსდიოდა ამხანაგებთან სადმე სასეირნოდ წასულიყო.

ზატყულის ერთ-ერთ დასვენების შემდეგ, მოწაფენი ჩვეულებრივ დავბრუნდით სასწავლებელში. სხვებთან ერთად სასწავლებელში გამოცხადდა ეს ჩემი ამხანაგიც, რომელსაც მეტ სახელად „ლოქო“ ვეძახდით. კვლავ სახლში დაბრუნება მხოლოდ შობის უქმეებში შეიძლებოდა. ამ სანატრელ დროს ჩვენი „ლოქო“ მოუთმენლად მოედოდა.

შემთხვევით შევნიშნეთ, რომ „ლოქო“ უბის პატარა წიგნში ყოველ დღე, ამხანაგების შეუმჩნეველად, რაღაც ცნობანი შეჰქონდა. თურმე, ნუ იტყვით, ჩვენს ჭკუის კოლოფს ამ უბის წიგნში იმდენი პირდაპირი ხაზი ჩაუმწკრივებია, რამდენი დღეც იყო დარჩენილი შობის უქმეებამდე. ყოველ საღამოს თვითოეულ ხაზს მეორეს ჯვარედინად ჩამოუსვამდა და ამნაირად აღნიშნავდა თურმე თვითოეულ განვლილ დღეს: ამ ჯვარედინების მიხედვით ჩვენი „ლოქო“ ადვილად გამოიანგარიშებდა, რამდენი დღე კიდევ დარჩებოდა მოწაფეთა საშობაოდ დათხოვნამდის.

გავიგეთ ეს თუ არა, შემოვესიენით საბრალოს და მოსვენებას არ ვაძლევდით:

— ჰა, „ლოქო“ რა მშვენიერი უბის წიგნი გიყიდნია! მართალი გვითხარი, თუ ღმერთი გწამს, რამდენი დღე დარჩა კიდევ შობამდის? „ლოქო!“ იცი, დირექტორმა გვითხრა, მოწაფეებს საშობაოდ არ დავითხოვთო!

„ლოქო“ დარწმუნებული იყო, რომ ვეხუმრებოდით, მაგრამ მაინც ჯავრობდა და სიბრაზით ყოველთვის ფერი მისდიოდა, როცა ასეთ ხუმრობას დაუწყებდით.




ნომბერი დადგა. მეტად აცივდა. სავარჯიშო მოედანზე რომელიც სასწავლებლის ეზოში იყო მოთავსებული, სრულიად დაკალიერდა. ყველა სავარჯიშო სამკაულები, ტურნკის გარდა, გადახურულს შენობაში გადაიტანეს, საცა ჩვეულებრივ სწარმოებდა ზამთრობით ფიზიკური ვარჯიშობა.

ერთხელ, ნასადილევის, როცა მოწაფენი, თბილად ჩაცმულნი, სასწავლებლის ბაღში დასეირნობდნენ, შევნიშნეთ, რომ რამდენიმე მოწაფე შეგროვილიყო ბაღის იმ კედელთან, რომელიც სავარჯიშო მოედანს საზღვრავდა, და ჩუმის სიცილით დანახვენ მოწაფეებს ხელის ქნევით თავისაკენ იწვევდა.

მე და ჩემთან მოსეირნე ამხანაგებიც მივედით იმ ადგილას, საცა მოწაფეებს თავი მოეყარათ და ასე ჩუმის სიცილხარხარით ერთი ჩოჩქოლი ჰქონდათ.

ამხანაგებმა გაგავფრთხილეს, ჩუმად იყავითო და თან სიცილით ჩაგვიჩურჩულეს: „ჩვენი ლოქო გიმნასტიკას თამაშობსო“. „ლოქო“ ჩვენ ვერ გვაჩვენებდა, ჩვენ-კი ყოველ მის მოძრაობას, ყოველ ფეხის გადადგმას თვალ-ყურს ვადევნებდით. „ლოქო“ ცალ ფეხს მოიმაგრებდა ტურნიკის კანის ღერძზე და, როცა მეორე ფეხის ღერძზე დადგმას დააპირებდა, უეცრივ მეორე გვერდით გადაეშვებოდა და მიწაზე ზღართანს მოიღებდა. საბრალო რამდენჯერმე შეეცადა ტურნიკზე დასვლას, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა.

რაკი ტურნიკზე ასვლა უძძიმდებოდა, „ლოქომ“ იფიქრა, უთუოდ ტანთსაცმელი მიშლისო და ამიტომ დაუყონებლივ ძირს დაეშვა, მარდად ბალტო გაიძრო და იქვე ტურნიკის მახლობლად ქვაზე დასდო. მეტად ციოდა. საბრალო მოწაფეს ეტყობოდა, რომ სიცივისაგან კბილი-კბილს აცემინებდა. ხელები მთლად დალურჯებოდა და თითები სტაფილოსავით ჩამოჰკიდებოდა. „ლოქომ“ გარშემო მიიხედ-მოიხედა, ხომ არაფერს მიყურებსო და, რაკი დარწმუნდა, მახლობლად არაფერ არ არისო, დალურჯებული ხელები ზეცას აღა-



პერო და დიდხანს საიდუმლოდ რალაცას გულმოდგინედ ლოცულობდა. ლოცვის გათავების შემდეგ, უკვე მზად იყო რნიკზედ ასასვლელად.

მართლაც, „ლოქო“, თითქო ახლა უფრო მარდად ავიდა ტურნიკზედ, წელში გაიმართა, ხელები ფრთების მგზავსად გაჰშალა ჰაერში იმ აზრით, რომ თავი შეეკავებინა რგვალ რკინის ღერძზედ და გაბედულად გაემართა ტურნიკის მეორე მხარესაკენ. რამდენიმე ნაბიჯი მართლაც მოხერხებით წასდგა წინ და, ვინ იცის, შეიძლება ბოლომდისაც მიეღწია, რომ კედლებიდან თავი არ ამოეყოთ მოწაფეებს და სიცილ-ხარხარით არ შეეძახათ:

— ლოქო, ლოქო! აბა, რას შერები, ჩამოვარდები! ლოქო, ჩამოვარდები!

საბრალო „ლოქო“ სიბრაზით ტუჩებს იკვნეტავდა, მაგრამ ტურნიკს მაინც არ ეშვებოდა და საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა ტურნიკის ბოლომდე მიეღწია.

მოწაფენი თვალის დახამხამებაზე კალიებივით გადმოცოცდნენ კედლებიდან და ტურნიკისაკენ მიაშურეს. ერთმა მოწაფეთაგანმა ღონივრად სტაცა ხელი ტურნიკის რკინის ღერძს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რყევა დაუწყო. საბრალო „ლოქო“ ერთი შეტორტმანდა და ძირს ზღართან მიიღო. მოწაფეებმა სიცილი და ხარხარი ასტეხეს. საბრალო „ლოქო“-ს სიბრაზით ყელში სული ებჯინებოდა და მზად იყო თავისი დამღუპველნი ლუკმა-ლუკმად ექცია. საბრალომ ამხანაგებისათვის სამაგიეროს გადახდას ძირს პირქვე დამხობა ამჯობინა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საზარლად ქვითინი მორთო.

უფროსი მოწაფენი მიეშველნენ „ლოქოს“, უნდოდათ წამოეყენებინათ, პალტო ჩაეცმიათ, მაგრამ ყოველმანვე ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. საბრალო „ლოქო“ პირქვე დამხობილი ისევ საზარლად ქვითინებდა და ფეხზედ წამოდგომას თითქო არცკი აპირებდა.

სწორედ იმ დროს, როცა „ლოქოს“ ეს ამბავი პანსიონში მორიგად იყო ყველა მოწაფეების საყვარელი აღმზრდელი მოხუცი დანიელი. მოწაფეები დიდის პატივისცემით და სიყვარულით ვპყრობოდნენ მოხუც დანიელს და ღირსიც იყო ასეთის პატივისცემისა და სიყვარულისა.

დანიელი დაუყოვნებლივ მოიქრა იმ ადგილას, საცა „ლოქო“ პირქვე დამხობილი საზარლად ქვითინებდა.

— ჰა, ჩემო კარგო, ეს რა მოგვლია? რათა სტირი? განა ასეთ სიცივეში პალტოს გახდა შეიძლება? — ლმობიერად შეეკითხა მოხუცი დანიელი პირქვე დამხობილ „ლოქოს.“

საყვარელ აღმზრდელის ხმის გავონებაზედ „ლოქომ“ ტირილი შესწყვიტა და სეზედ წამოჯდა.

დანიელი მოესიყვარულა „ლოქოს“, თავზედ ხელი გადაუსვა და კიდევ შეეკითხა:

— მითხარი, ჩემო, კარგო, რად გაიხადე ამ სიცივეში პალტო?

„ლოქომ“, პასუხის ნაცვლად, თავი მორცხვად ძირს ჩაჰკიდა და თვალთაგან ცრემლები წასკდა.

— მაშ, ჩემო კარგო, არ გინდა ჩემს კითხვაზედ სწორე პასუხი მომცე! — ისევ ლმობიერად განაგრძო სიყვარულის კილოთი დანიელმა.

„ლოქო“ მიუჯდა თავის საყვარელ აღმზრდელს, ხელები ხელებში მაგრად ჩასჭიდა და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსლიოდა; ოდნავ გასაგონის ხმით ლულულულებდა:

— დედა ჩემმა... დედა ჩემმა... დედა ჩემმა მომწერა, ისე ავადა ვარ, ისე ავადა ვარ, რომ... რომ არც-კი მოვრჩებიო!

საბრალო „ლოქოს“ ამ უკანახკნელ სიტყვებზედ კიდევ უფრო გული ამოუჯდა და სულ მდულარებას აბნევდა.

ჩვენ ყველამ ყურები ვსცქვიტეთ და „ლოქოს“ და საყვარელ აღმზრდელს მიუახლოვდით, მხოლოდ კრინტს არ ვძრავდით და მოუთმენლად მოველოდით, რითი დაამთავრებდა „ლოქო“ თავის პასუხს.

— მერე, მერე, ჩემო კარგო? ცნობის მოყვარულნი შეეკითხა მოხუცი დანიელი.


— მერე ამ ტურნიკთან მოვედი, და ღმერთს შევევედრე და თან აღუთქვი, თუ ამ ტურნიკზედ თავიდან ბოლომდე ისე გავალ, რომ არ გადმოვარდები, დედა ჩემი კარგად შეიქნება, და თუ ბოლომდის ვერ გავედი და ჩამოვარდი, ჩემი საყვარელი დედა უთუოდ მომიკვდება მეთქი. ის იყო ბოლომდის უნდა მიმეღწია, რომ თი ესენი მოსცივდნენ, ტურნიკის ღერძი შეანძრიეს და მეც... მეც... დავკარგე... სამუდამოდ... სამუდამოდ... დავკარგე... ჩემი... ჩემი... საყვარელი... საყვარელი... დედა!—ცრემლების ღაბა-ღუბით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაამთავრა „ლოქომ“ თავისი პასუხი.

— საბრალო ბავშვი! საბრალო ბავშვი!—თვალ-ცრემლიანი ლულულულებდა მოხუცი დანიელი და გულში მაგრად იკრავდა მართლაც საბრალო „ლოქოს“.

ჩვენ, მოწაფენი, გაფითრებულნი თავს დავსცქეროდით ორთავეს და თვალთავან სირცხვილით, ცრემლები გვცვიოდა.

ა. მიქაბერიძე.





საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

გ ე ჩ ა ზ ე *).



არტის უკანასკნელი რიცხვები იყო. გაზაფხულის სუნი ისმოდა, მაგრამ ცვალებადს მარტის მზის სხივებს სიცხოვლედ არა ჰქონდა. ტაროსი დღეში ხუთჯერ იცვლებოდა და ხან ისე გულმოდგინედ იწყებდა თოვას, გეგონებოდათ შუაგული ზამთარიო. ციოდა და

მდინარეც ძლიერ ცივი იყო, მაგრამ სოფლებს მაინც გაეკეთებინათ გეჩა მდინარეზე; იქვე ნაპირად ერთი პატარა

*) გეჩა - ვანი თევზის საჭერი.

ფაცხაც მოეწნათ და დარაჯობდნენ თევზს. გაზაფხულზე ზეზღები ჯგუფუფ-ჯგუფად დაბლისკენ მიდიან და გზა-გზა ქვებზე და სილაში ქვირითასა სდებენ. ამ დროსთვის სოფლელები მდინარის ერთს დიდ ტოტში დასდგამენ მოწულ გძელ კალათას და წამოსული თევზი ამ ხაფანგში სცვივა.

აი ახლაც ექვსიოდე სოფლის ბიჭი მოგროვილიყო ფაცხაში და თევზებს დარაჯობდა. ფაცხიდან გეჩამდე პატარა ხიდი იყო გადებული; ყმაწვილებს ჯერი გაეჩინათ და დროგამოშვებით მიდიოდნენ დასათვალიერებლად. გარედ მარტის ცივი ქარი ზუზუნებდა. უკუმეთი ღამე თავის შავის ფრთების ბარტყუნით ქალაში ათასნაირ იღუმალ ხმას ავრცელებდა და ისედაც ცრუ-მორწმუნე ყმაწვილების ფანტაზია ყოველ საშინელებათა სამყაროში დანავარდობდა. დროს გასატარებლად ერთმანეთს ზღაპრებსა და განაგონს ამბებს უამბობდნენ, მაგრამ, თითქოს განგებაო, ისეთი საშინელი შინაარსისა იყო ის ზღაპრებიცა და განაგონიც, რომ ზოგიერთი გეჩასთან მარტოველარ მიდიოდა.

— მე რომ თხუთმეტის წლისა ვიყავი, — დაიწყო ერთმა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ყმაწვილმა, — მოჯამაგირედ ვიყავი ტარიელის სასახლეში. ტარიელი მაშინ ახალ სახლს აკეთებდა და დროებით გაღმა სცხოვრობდა ქუთარის ოღაში. გეხსომებათ, მაშინ ტარიელმა აი წისქვილის თავთან ხიდიც-კი გააღდებინა მდინარეზე და ტარიელის ხიდს ეძახდნენ. ერთს ზაფხულს ამ გადარეულმა ხობის წყალმა წაჰხვეტა ადიდების დროს. ქალბატონმა ნება მომცა, საქმეს რომ მოვრჩებოდი, შინ გამოვსულიყავ, ჩემსას; დილა-ადრიან ისევ ვბრუნდებოდი. მაშინ იმდენად სულელი ვიყავი, შიში არ ვიკოდი, რა იყო. რაც უნდა ბნელი ღამე ყოფილიყო, სადაც გინდოდა, იქ წავიდოდი.

ერთს საღამოს ჩვეულებრივ ავიღე ჩემი თავ-კომბალა ბზის ჯოხი და მოვკურცხლე შინისაკენ. მთვარე თუმცა იმ

დროს ვახშობაზე *) იგვიანებდა, მაგრამ მეც გვიან გამოვხვედნი. მთვარე ამოგორებულყო და დაბრაწულ მჭადივით ცას მიჰკვროდა. რა და რა ხმა არ ისმოდა ამ საამურო საღამოს! საღაც ქრიკინა კახკახებდა; შორიდან ხის ყვითელ ბაყაყის სტვენა მოისმოდა; ტბის ბაყაყებიც ერთმანეთს არ აცლიდნენ და გამწარებულები ყუყინებდნენ; ციხის ნანგრევები კიდევ ქოტის კვილი გაისმოდა. ხილამდე ჩამოვირბინე. შუამდე არ ვიყავი მისული და უკან მოვიხედე. დავინახე, რომ ხილის თავზე იდგა ვიღაც სულ თეთრებში შესუდრული მაღალი ქალი, ოქროს ფერი თმები გაშლით კოჭებამდე ეყარა და მთვარის შუქზე თითონაც შუქ-მოსილი იდგა. რამდენსამე ხანს გაკვირვებული უცქეროდი; ისიც უძრავად იდგა... მოვტრიალდი და ჩემი გზა განვაგრძე. გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და ფეხებში პატარა ქვა მომხვდა. მოუჩქარე და მალე ხიდი გადავირბინე. ჩასვლისას ერთი კენკიც გამიგორდა. მოჩვენება ახლა ხილზე იდგა და, თუმცა ქვის ასაღებად არ დახრილა, მაგრამ მაინც მესროდა პატარა კენკებსა. უცებ მომაგონდა, ეს ან მკვდრის სული და ან ალი უნდა ყოფილიყო. გადავირბინე წისქვილის თხრილის პატარა ბოგირი და მოვკურცხლე. მოვიხედე, ალი გასწრობას მიპირებდა, წინ უნდა ეყელნა. ახლა დავილუბე, ვიფიქრე, თუ წინ გამისწრო მეთქი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვრბივარ.

— ლუკა, მომიცადე, მომიცადე! — მომძახა ალი. მახსოვდა მამაჩემისაგან, თურმე ალს თუ ხმა გაეცი, მერე ველარ გადაურჩებიო. წაგიტყუილებს სადმე ხრამისაკენ, ჰკუაზე შეგშლის და კლდეზე გადაგჩხავს. ალი კიდევ და კიდევ მომძახა. ისე მომინდა პასუხი გამეცა, თავს ძლივს ვიმაგრებდი. დავაქირე ენას კბილები და მოვრბივარ. მოვირბინე იმ დასა-

*) რადესაც მთვარე საღამოს ამსხვლას შეიგვიანებს, მეგრელები ამბობენ: მთვარე ვახშობაზე იგვიანებსო.

ქცევ დღვებუსთან (ტბა), აი, ბაკურას ზემოდან რომ ხომ იცით, იქ გზის პირად რა ნაძრახი ადგილია. მოვრბივარ და, ვაი თქვენს მტერს, მე წინ ხიფათი დამიხვდა. ზედ გზის პირზე შეგროვილან ჭინკები, გაუჩაღებიათ ტაშ-ფანდურა და ერთი ამბავი აქვთ. უთუოდ უხაროდათ, რომ ჩამიგდებდნენ ხელში და გამწეწავდნენ. ჭინკები სულ ჩვენისთანები არიან, მაგრამ ყველა პატარაა. ფეხების და ხელების თითებზე გძელი წვეტიანი ბრჩხილები აქვთ, რომლითაც ახრჩობენ ყმაწვილებს კულებიცა აქვთ. შევჩერდი. იქ გასვლაც მეძნელებოდა, მაგრამ აღს მკლავები გაეშალა და დაჭერას მიპირებდა. ჭინკები ნაკლებ საშიშრად მიმაჩნდნენ, ვიდრე ალი და გავკურცხლე. ჭინკები გამომედევნენ წკავ-წკავითა და ქვების სროლითა, მაგრამ მოუახლოვდი კიდევ სახლს და ძაღლებს დაუშტვინე. გაიგონა თუ არა აღწა ძაღლების ყეფა, მსწრაფლ გაჰქრა. შევვარდი სახლში გულ-გახეთქილი და გული შემიწუხდა. გავხდი ავად და მთელი ორი თვე, სანამ მამაჩემმა ილორში არ წამიყვანა „გამოსალოცავად,“ ენაც ჩავარდნილი მქონდა.

— მიტომაც თურმე ახლაც-კი ბლუკუნობ! — იხუმრა ერთმა ამხანაგმა. მოამბე მართლდაც ცოტა ენა-ბლუ იყო.

— ეჰ, ღმერთმა შენც შეგახვედროს და მაშინ ვნახავთ, ასეთ მხიარულ გუნებაზე თუ იქნები! — მიუგო, ცოტა წყენით დაღონებულმა მოამბემ.

— ახლა შენი ჯერია, — მიუბრუნდნენ ყველაზე უფროსს, კოსტას.

— ჯერ ერთი გეჩას მიჰხედეთ და მერე დავიწყებ.

— ფრთხილად იყავ, აღმა არ ჩაგითროს! — მიაძახა მიმავალს იმანვე, რომელიც მოამბეს დასცინოდა.

— თავი დაანებე, არ ვარგა ხუმრობა! გგონია აღს არ ესმის შენი ღაცინვა? სადმე გიხელთებს და გაჩვენებს სეირს, — მიაძახეს აქეთ-იქიდან ყმაწვილებმა.

— აბა, დამხედეს და ვაჩვენებ!—დაიტრაბახა ყმაწვილმა. რატომ მე არასოდეს არ დამხვდა. თქვენა ხართ მშიშარები, თორემ არაფერი ალიც არ არის.

ეჰ, მაგრეც ნუ ამბობ, ჩემო ძმაო!—დინჯად შენიშნა კოსტამ. მეც არ ვიყავი და არც ახლა ვარ მშიშარა, მაგრამ ჩემი თვალთ მინახავს და რას იხამ.

— გვიამბე, გვიამბე, შენი ჯერია, — მიამახეს კოსტას, და იმანაც დაიწყა.

— სამი-ოთხი წელიწადი იქნება მას შემდეგ, მე და ცაკვა, აი გოგიას შვილი, მოვდიოდით ცხენებით სენაკიდან. იქიდან გვიან გადმოვედით და ზანაში კიდევ შემოგვალამდა.

კარგი მთვარიანი ღამე იყო. ორივენი კარგ ცხენებზე ვისხედით. ცაკვას ხანჯალი ეკიდა და მე რევოლვერიცა. ასე რომ შიში ჩვენს გულს არ ეკარებოდა. მოვდივართ არხენად ბაასითა და მღერითა. ჩამოველით მანჯამდე; სრულიად შეუმჩნევლად თურმე რალაცაზე ჩავფიქრებულვარ და ცაკვას ჩავმოვრჩენილვარ. უცებ, დავინახე ერთი ჭინკა, ხან ერთი მხრიდან ამომახტება, ხან მეორედან. ისეთნაირად ცელქობდა და მალაყებს—გადადიოდა ის შეჩვენებულო, რომ იმას დაუწყეც კერა, აღვირიც-კი ხელიდან გაუშვი და თავდავიწყებაში ჩავარდი. ცხენმაც თურმე აიკრიფა აღვირი, გადაუხვია გზას და ტყისკენ გასწია. უცებ მომესმა ცაკვას ხმა: „კოსტა, სად მიდიხარ, ბიჭო!“ ამ ხმაზე გამოვერკვიე, მივაფურთხე ეშმაკს და ცაკვას გამოუდექი.

— „წინა კაცი უკანა კაცის ხილია“—ო, მომამახა ჭინკამ ქართულოდ და გაჰქრა. მე და ცაკვამ პირჯვარი გადავიწერეთ და გამოვსწიეთ.

— აბა, რა ცნობილი კაცი ხარ, კოსტა! ჭინკასაც-კი სკოდნია, შენ ნავალი კაცი ხარ და ქართული რომ იცი, — არ ისვენებდა ის ერთი ხუმარა ბიჭი.

— ეს ჭინკასი, და ახლა აღის ამბავიც გითხრათ, — განაგრძო ისევ კოსტამ. — მაშინ ოც-და ერთი, ოც-და ორი წლისა

თუ ვიქნებოდით, მეტი არა. თედომ წაგვიყვანა ჯვარში დედრის ქელეხში მოზარეთ. იქიდან მოვდივართ და ცოტა გადაკრულშია ვართ. ჩიჭოვანების დიდ დაღმართს რომ მოველით, კარგა ბნელოდა. გავიხედე, საისლეში დავინახე სულ თეთრებში გამოწყობილი ისეთი მზეთ-უნახავი ქალი, თვალთ დამიბნელდა. შემომხედა, გამიცინა და ხელით მანიშნა გავყოლოდი. გადავკარ ცხენს მათრახი და თავ-აღებულო ზედ ხრამისკენ გავემართე. ჩვენს პახვალას ხელი არ ეტაცნა, უთუოდ კლდეზე გადავიჩებოდით. ქალი სადღაც მიმეფარა. ისე დავლონდი, ისე დავლონდი, რომ მაშინ თავის მოკვლა არ მომაგონდა, თორემ არ ვინაღვლიდი, ისე მომინდა იმ ქალის კიდევ ერთხელ შეხედვა. ძლივს მაჩერებდნენ გაკვირვებული ყმა-წვილები; სადღაც მივიწვედი თურმე.

— როგორ თურმე? შენ-კი არ გახსოვს?— გააწყვეტინა ისევ ხუმარამ და თითონვე დაუმატა:— კარგი ქელეხი ჰქონიათ, რომ აგრე თავ-დავიწყებამდე მისულხარ! ბიჭებმა ხარხარი დაიწყეს.

— არა, ღმერთმანი! განა სიმთვრალით მომდიოდა!— იმართლა თავი კოსტამ.— როგორც იყო ჩამოველით სოფელში. მე შინ წავედი. მოვხადე ცხენს უნაგირი, იქვე ეზოში თოკით გრძლად ბალახზე დავაბი და მე სახლში შეველ. მთვარე ამ დროს შუალამემდე კიდევ ჩადიოდა და ახლაც სახლის უკანა ღია კარებიდან გაკაშკაშებული იჭყიტებოდა. ის-ის იყო ვახშამიც აელაგებინათ. შევდგი თუ არა ფეხი წინა კარებში, და უკანა კარებში,— სწორედ დღეს რომ გზაში შემხვდა,— ის ქალი არა სდგას! ნამგალა მთვარეც ზედ თავზე გვირგვინად აღვა. გონება დამეფანტა; ერთი მგონი შევჰყვირე და მივვარდი, მაგრამ ქალმა ღიმილით ადგილი გადაინაცვლა და მანიშნა— წამოდით. მიუახლოვდებოდით თუ არა, ადგილს ინაცვლებდა და გამაგიჟებელ სიკეკლუცით მიწვევდა. მეც გამალებული მისდევდი. თურმე მამა ჩემს შეემჩნია ჩემი

ასეთი უცნაური საქციელი, მიხვედრილიყო, უთუოდ ალი ეწვევებოდა და უკან გამომდგომოდა.

— ბიჭო, სად მიდიხარ, აქეთ წამოდიო! — დამკრა მხარზე ხელი და გამომწვია. თითქოს ცივი წყალი გადამასხესო, ისე შევკრთი; ერთი-ორი გავიბრძოლე, მაგრამ მამა არ მიშვებდა და ჩამძახოდა:

— მიაფურთხე ეშმაკს, შვილო, და პირჯვარი გამოისახეო, — და თითონ ჩურჩულებდა: — ჯვარი აქაურობას, ჯვარი აქაურობას! — გამოვერკვიე როგორც იყო; მივხვდი რომ აქ არა-წმინდა სული იყო ჩარეული, მაგრამ ისე ჩამრჩა იმ ქალის სახე გულში, რამდენსამე თვეს არ მშორდებოდა და სიზმარშიაც მელანდებოდა.

— ამბობენ, ყველას არ გადარევსო, — სთქვა ერთმა ყმაწვილმა.

— მართალია. პირიქით, ვინც ჭკუით მოიქცევა, გააკეთებს კიდევცა. აი, ჩვენი პახვალა, ამბობენ, ალმა გაამდიდრაო. თურმე პახვალა მოსწონებია ალს; უჩვენებია ხუთი თითი, პახვალამ თურმე სამი აჩვენა. თურმე ალს ენიშნებინა, ხუთის წლით პირობა შეეკრათო, პახვალას კი სამი ეთქვა და შეთანხმებულიყვნენ. თურმე ალი ღამ-ღამობით მოდიოდა სასიმინდეში. პახვალას ცოლს გაუგია და თვალი უდევნებია, ქმარი სად დადისო. ერთხელ ალს მისი ოქროს ნაწნავები ძირს გადმოჰკიდებოდა და ტალახში ამოსვრილიყო. პახვალას ცოლს რძით გაერეცხა და ისევ ზედ შეეწყო; ალს გაეგო ეს და სამაგიეროდ პახვალასთვის დამარხული განძი ეჩვენებინა. ერთს ქალს-კი, სულელს, ქმრის გამოჯავრებულს, თმა ძირში მოეჭრა. ალმა კიდევ მისი ერთად-ერთი შვილი ცეცხლში დაუწვა.

— არა, ძმაო, რაც გინდა სთქვი, მაგრამ რაღაც-კი უნდა იყოს, — გადასწყვიტეს ყმაწვილებმა.

— ჭინკები-კი მართლა არიან, — დაეთანხმა ამდენ ცხადის მაგალითებით მორბილებული ის ყმაწვილიც, რომელსაც აქა-



მდი არა სჯეროდა კინკებისა და ალგების არსებობა რობდა. - აი, ბესარიონის სასახლეში იყო სასახლის მოძღვრად ბერი ათანასე. ძლიერ ღვთისნიერი კაცი ყოფილა; სარჩო სასახლიდან ეძლეოდა და ცხოვრებით-კი ტყეში ერთ ფაცხა-ში სცხოვრობდა. მასთან დადიოდნენ სოფლის ბავშვები და წიგნს ასწავლიდა უფასოდ. ეს ათანასე უქადაგებდა თურმე ხალხს: კინკა, ალი, ოჩოკოჩი არ არის და ნუ გეშინიანთო. ათანასეს სოფლიდინ ბავშვები თურმე უზიდავდნენ მრავლად მოხარშულ, ან შამფურზე შემწვარ დედლებსა. რასაც სკამდა— სკამდა, რასაც არა და— თახჩაში ჰქონდა შენახული. ერთხელ ათანასემ შეამჩნია, ქათამი ვიღაცას დაუღრღნია. ათანასემ უდარაჯა რამდენჯერმე, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია. ბოლოს შემოსავალში ნაცარი მოაყარა და თითონაც ტახტზე წამოწვა და ნაბადი გადაიხურა; მაინც წასძინებოდა და ვერაფერი დაინახა, მაგრამ ნაცარზე-კი პაწაწა ბავშვის ნაკვალევის მსგავსი რაღაცა ნახა. ძლიერ გაეღვიძა ცნობის მოყვარულობა ათანასეს და მეორე დღეს აღარ დაიძინა. დიდხანს არავინა სჩანდა; ათანასეს კინაღამ ჩასთვლიმა, მაგრამ დასძლია ძილს და თახჩისაკენ გაიხედა. დაინახა რაღაცა პატარა ცხოველი შეცუცქებულა, ხან ქათამს მისწვდებოდა და ხან-კი ათანასესაკენ იცქირებოდა. ათანასე მიხვდა, ეს კინკა იქნებოა, წამოდგა, გაღაიწერა პირჯვარი და შესძახა:

— სახელითა მანისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, გიბრძანებ, გადი! გადმოხტა თურმე კინკა და ფაცხა-ფუცხით გავარდა. მეორე დღეს ათანასეს ხალხისათვის გამოეცხადებინა: „შვილებო, კინკა თურმე მართლა ყოფილა, ჩემის თვალით ვნახე, მაგრამ ღმერთი ახსენეთ და ვნება არ შეუძლიანო“.

— ბიჭებო, ერთხელ ჩვენს სოფელში ოჩოკოჩი-კი დაუკერიათ, — წამოიძახა ერთმა. ძალიან დიდი იყო თურმე და მკერდზე მწვეტიანი საჩეჩელა ჰქონდა ამოსული. ვეღარ დაი-


ზორჩილეს თურმე და მოეკლათ. სულ კაცსა ჰგავდა, ოღონდ ბანჯგვლიანი იყო.

ბიჭები ამ ლაპარაკში გაერთნენ და მზეს-კი ღრუბლებისათვის შუბი ეკრა და ერთი პირი ჩამოეხია; იქიდან მოჭრილი სხივები გადმოფრქვეულიყო, მაგრამ მაღალ მთას ფარი აეკრა და მხოლოდ ლაყვარდ ცას ეცვალა ფერი. ვარსკვლავები შემკრთალიყვნენ და პირბადეს იფარებდნენ. სოფლიდან ყმაწვილებს მამლის პაემანი მოესმათ და წამოიშალნენ.

— ბიჭებო, თევზი მოსულა! — დაიყვირა პირველმა და გეჩასაკენ გაექანა. გარედ მართლა თევზის სუნი ტრიალებდა. ნახეს, გეჩა ორ არშინზე თევზით მოფენილიყო. ნახ კალმახებს უწყლობისაგან ხახა გაშრობოდათ და პირღია ეყარნენ. მურწები-კი გაშმაგებულები დახტოდნენ და დაფართხალობდნენ. დიდ-დიდი მურწა ხელის მოკიდებაზე გოჭივით ჭყვირილს გააბამდა ხოლმე. მიუდგეს და ერთი დიდი კალათა აავსეს. ადგილის პატრონს გადაურჩიეს ხვედრი თევზი, სხვა-კი იქვე დუქნებში გაიტანეს, კიტრის ფასად გაჰყიდეს და ფული გაინაწილეს. გეჩაზე დარაჯობა მთელი შვიდი-რვა ღამე იყო საჭირო და მერე-კი თევზის დენაც შესწყდა.

ს. დაღიანი.






მ რ ი მ ხ ა ტ ვ ა რ ი .

(შემდეგა)

თ ა ვ ი VI.



ვენგან აწერილ ამბავს შემდეგ, სამმა წელ-
მა განვლო. ციურიხის ერთ უმთავრეს
ეკლესიასთან, პატარა ქვის კონცხზე წა-
მომჯდარიყო ჯანსალი და საკმაოდ სუფ-
თად ჩაკმული ასე - თორმეტის წლის ვა-
ჟი; მუხლებზედ ედვა მშვენიერი სურა-

თიანი სქელი ქალღი, რომელსაც ისე ჩასცქეროდა, რომ
ოვალს არ აშორებდა.

— ოჰ, რა მშვენიერებაა! — სთქვა მან ბოლოს: — ეს კა-
ტა ისე წევს, თითქოს ცოცხალი იყოს; კნუტებიც თით-
ქოს, აი, აი — დაიკნავლებენო! აი, მესმის, მე რომ შემეძ-
ლოს ასე ხატვა! — განაგრძობდა ამოოხვრით და თან სუ-
რათს თვალს არ აშორებდა, — თორემ ახლა იმდენი შრომა
მჭირდება, რომ ერთის კატის თავი დაეხატო! მაგრამ არც
სასოწარკვეთილება ვარგა: რაც ძალი და ღონე ვაქვს, კაცმა

უნდა იშრომო, — როგორც ჩემი მასწავლებელი ამბობს, — რომ ბოლოს კარგი მხატვარი გამოხვიდე!

ბავშვი რომ ამგვარს ფიქრებში იყო გართული და თავის თავს ემუსიაფებოდა, ვერც-კი შეამჩნია, რომ უკანიდან ორი უცხო კაცი მიუახლოვდა და ზევიდან თვალ-მოუშორებლივ სურათს დაუწყეს ცქერა.

— ეგ მწვენიერი სურათი შენ ვინ მოგცა, ბალო, — ჰკითხა ერთმა მიმსვლელთაგანმა, რომელიც ლაპარაკის კილოთი და ტანისამოსით ინგლისელს ძლიერა ჰგავდა.

უკანიდან რომ უცხოს ხმა მოესმა, ბავშვი ცოტათი შეშფოთდა და მაშინვე დაკეცა სასურათე ქალაღი.

— მეც დამანახვე, თუ კაცი ხარ, ერთხელ მაინც დამანახვე! — სთხოვა ინგლისელის თანამგზავმა: — ჩვენ ხომ სურათს არ წაგართმევთ და არც რასმე გაუფუჭებთ, ცოტა ხანს რომ უცქიროთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე, ბავშვი მობრუნდა და ჩააცქერდა მოსაუბრეთ და, როდესაც დარწმუნდა, რომ ცუდი განზრახვა არ ჰქონდათ, ისევ გაშალა სურათებიანი ქალაღი.

— ჩინებულია, შეუღარებელია! — ერთად წამოიყვირა ორმავე უცხო კაცმა, როდესაც სურათი ახლოს გასინჯეს.

— ეგ სწორედ იშვიათი ხელოვნებაა! — სთქვა ინგლისელმა: — ასე ხატვა მხოლოდ სახელ-განთქმულ მხატვარს შეუძლიან! რა ბუნებრივობაა, რამდენი სიკოცხლეა ამ კატებში! მერე როგორა მწყინს, სურათზე რომ მხატვრის ვინაობა არაა აღნიშნული! — უთხრა მან თავის თანამგზავრს.

— სად გიშოვნია ეგ სურათი, ჩემო კარგო? — ჰკითხა მან ისევ ბავშვს და თან ქალაღზე დახატულ კატების ცქერით სტკებებოდა.

— ეს ბატონ ვერნეს სამხატვრო მაღაზიიდანაა, — მიუგო ბავშვმა და თან მუხლებზე სურათიან ქალაღს ისწორებდა.

— მერე შენ საიდან ჩაგივარდა ხელში ეგ სურათი? — გაიკვირვა უცნობმა.

— სულ უბრალოდ: მე ხატვასა ვსწავლობ და ვერნეს ძმასთან ვცხოვრობ; თავისუფალ დროს-კი მაღაზიაში მივდივარ და ბ-ნ ვერნეს სხვა-და-სხვა მონდობილობას ვასრულებ.

— მაშ დღესაც მოგცემდნენ რამ მონდობილებას? — ჰკითხა ინგლისელმა.

— დიად, დღეს მე ერთს სხვა ქვეყნიდან მოსულ ბატონთან გამგზავნეს ამ სურათით, რომ გავიგო, ხომ არ ისურვებს ამის ყიდვას.

— იქნება ამ სურათს ფასიც დაარქვეს, არა? — ცნობის-მოყვარულობით იკითხა უცნობმა.

— არა! ფასი არ დაურქმევიათ, — მიუგო ბავშვმა: მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, ამ მხატვრის სურათები საკმაოდ ძვირად ფასობს; მაინც ისე ჩქარა იყიდება, რომ ბატონი ვერნე ვერც-კი ასწრობს მათს დამზადებას.

— მერე შენ არ იცი მხატვრის გვარი? — ჰკითხა ინგლისელმა.

— არა, — ჩაილაპარაკა ბავშვმა: — არამც თუ მე, მისი გვარი არავინ არ იცის. სურათები მაღაზიაში ერთს უცნობ კაცს მოაქვს, რომელსაც არაფრის გულისათვის არა სურს მხატვრის ვინაობის გამჟღავნება.


— მაშ, როგორ უნდა მოიქცეს, ვისაც სურს ამ მხატვრისათვის სურათის შეკვეთა? — ჰკითხა ინგლისელმა.

— ასეთ შემთხვევაში ბატონ ვერნეს უნდა მიმართონ და ის გააწყობს საქმეს, — უპასუხა ბავშვმა.

— მაშ, იცი, რას გეტყვი? — გადაწყვეტითა სთქვა ინგლისელმა ცოტა სიჩუმეს შემდეგ.

— თუ დარწმუნებული ხარ, რომ ძლიერ არ გაგიჯავრდებიან მონდობილების შეუსრულებლობისათვის, მოდი ერთი, იქ ნულარ წახვალ, სადაც გაგგზავნეს, და ბატონ ვერნეს მაღაზიამდის მიგვაცილე: საშინლად მინდა ამ სურათის ყიდვა.

-- დიდის სიამოვნებით! — ზრდილობიანად წარმოთქვა



ბავშვმა: — მე ვიცი, რომ ბატონი ვერნე, არამც თუ ჯაერდება უკან დაბრუნებისათვის, ძლიერ კმაყოფილიც დარჩება, ახალ მუშტრებს რომ მიუყვან.

— ამ სიტყვებით ნელა დაჰკეცა სურათის სახვევი ქალაღი, წამოდგა და უცნობთ ვერნეს სამხატვრო მალაზიისაკენ გაუძღვა.

გზაში ისინი ერთმანეთს გამოებასნენ; სხვათა შორის, ინგლისელმა ჰკითხა ბავშვს, რამდენი ხანია და როგორ მოხვდი ამ მხატვრის მალაზიაშიაო.

— ეს ამბავი რაღაც უცნაურად მოჰხდა, — დაიწყო ჩვენმა გულუბრყვილო მეგობარმა: — ჩემი მშობლები ძლიერ დარბნი იყვნენ და ერთს პატარა ქოხმანში სცხოვრობდნენ ხუტვილის მახლობლად. დედა დიდი ხანია მომიკვდა და დავრჩი ერთის ძმითა და ერთის პატარა დით. დედის სიკვდილს შემდეგ, მამა სახლში თითქმის არასოდეს არ შემოდოდა, ჩვენ არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდა, ასე რომ ხანდისხან მთელ დღეობით მშვივრები ვეყარნით. და აი, ერთხელ, ჩვენს მხარეში მგზავრობის დროს, მხატვარი ვერნე ჩვენსას შემოვიდა, გამოგვემუხსაიფა ბავშვებს და სამივეს თითო ვერცხლის ფული გვაჩუქა. შემდეგ, როდესაც გაიგო, თუ რა გაჭირვებით ვცხოვრობდით, და დაინახა, რომ მე და ჩემს ძმას ხატვის ნიქი გვქონდა, დახმარებას შეგვპირდა. ბოლოს, ერთის წლის შემდეგ, შეასრულა თავისი დაპირება და მე ციურბინში წამიყვანა ხატვის სასწავლებლად.

— ახლა კარგად სცხოვრობ? — ჰკითხა ინგლისელმა.

— რასავირველია, კარგად; თითქმის ძლიერ კარგადაც! — ცქვიტად მიუგო ბავშვმა: — უწინდელ ცხოვრებასთან შედარებით მე ახლა ბატონიშვილივითა ვცხოვრობ.

— მართლა? ახლა შენ რას ჰხატავ? — განაგრძობდა უცნობი.

— ახლა მე კატის თავს ვხატავ სხეულის ზომისას, გო ნიკლასმა.

ეს იყო საწყალის ფრიდლის ძმა.

— ეს კატის თავის სურათი ერთის შესანიშნავ კატ-ს მხატვრის ხელს ეკუთვნის და მე ხშირად ძლიერ სამწუხარო ფიქრებსა მგვრის ხოლმე, — მოწყენით დაუმატა ნიკლასმა.

— ეგ რატომა? — გაიკვირვა ინგლისელმა.

— იმიტომ, რომ ცხადად მაგონებს ჩემ საწყალ ძმას, რომელიც დიდიდან სადამომდის სულ კატებს ჰხატავდა. იმას ჰყავდა ერთი კატა, რომელიც მისთვის მთელს ქვეყანაზედ უუძვირფასესი არსება იყო... მაგრამ, საუბედუროდ, ის საბრალო სულ კრეტინი იყო, მამას თვალით დასანახავადაც ეზარებოდა და ხშირად სცემდა, რითაც-კი მოუხდებოდა.

— ახლა სადაა მერე ეგ უბედური ბავშვი? — თანაგრძნობით ჰკითხა ინგლისელის თანამგზავრმა.

— საქმეც ის გახლავთ, რომ არ ვიცით, — ამოოხვრით უპასუხა ნიკლასმა: — სამი წელი იქნება, რაც სადღაც გადიკარგა და მას შემდეგ კაცმა მისი ასავალ-დასავალი არ იცის; ადვილად შესაძლებელია, რომ კიდევ მოკვდა, — დაუმატა ბავშვმა ცოტა სიჩუმეს შემდეგ.

ამგვარ მუსაიფით ნიკლასმა თანამგზავრები მალე ვერნეს მალაზიამდის მიიყვანა. ინგლისელმა ჯერ ბოდიში მოიხადა მალაზიის პატრონთან ბავშვის უკან დაბრუნებისათვის; შემდეგ გაიგო იმ სურათის ფასი, რომელიც ასე მოსწონდა. ვერნემ სურათი შვიდ-თუმან ნახევრად დააფასა. ინგლისელმა-კი უვაჰრელად დაუთვალა ფული და სთხოვა, რომ სურათი კარგად გაეხვიათ, რადგან ძლიერ შორს წასაღებიაო.

ამგვარად რამდენსამე წამში ყველაფერი მზად იყო და, სანამ ვერნე სურათს ახვევდა სქელ ქალაღდში, უცნობები კიდევ გამოელაპარაკნენ ნიკლასს.

— აი, შენც კარგად იმეცადინე, — მიჰმართა ინგლისელმა

ბავშვს:—და, ვინ იცის, იქნება, ერთ დროს შენც ისტორიის
ხელოვანი მხატვარი გამოხვიდე, როგორც ეს კატის მხა-
ტვარია.

—ოჰ, არა... მე ვერასოდეს ვერ შევძლებ ისე კარგად
ხატვას, როგორც ის ხატავს,—მწუხარებით წარმოსთქვა ბავშვმა.

—არა, ჩემო მეგობარო!—ეგ სულ უბრალო საქმეა,—
გააწყვეტინა ინგლისელმა:—წინდაწინვე არასოდეს არ უნდა
ჩავარდე სასოწარკვეთილებაში, არაჲდ უნდა იშრომო და
ეცადო, რამდენადაც შესაძლებელია, მიაღწიო ხელოვნების
უმაღლეს განვითარებას, რისთვისაც შრომა და მეცადინეობა
არ უნდა დაზოგო.

ამ ლაპარაკის დროს ვერნემ კიდევ შეახვია სურათი და
შემდეგ მუშტრებს იმავე მხატვრის რამდენიმე სხვა ნახატიც
უჩვენა.

უნდა შეენიშნოთ, რომ კატის მხატვრის ყოველ ნახატ-
ზე პირველი ადგილი ეჭირა კატებს, შემდეგ მოსჩანდნენ ლო-
მები, ვეფხვები და სხვა ცხოველები, რომელნიც კატის ნათე-
საობას ეკუთვნიან.

საზოგადოდ-კი ამ მხატვრის ნაწარმოებნი განირჩეოდნენ
შესამჩნევ სიცხოველით, ბუნებრივობითა და ყველას არა ჩვე-
ულებრივი ნიჭის დაღი ესვა.

ამ სურათების სინჯვის დროს მუშტრებმა, რასაკვირვე-
ლია, მათს გენიოს მხატვარზე დაიწყეს მსჯელობა.

—დიად, —შენიშნა ვერნემ:—ეს მხატვარი ჩვენთვის რა-
დაც სრულიად გამოურკვეველი გამოკანაა. წარმოიდგინეთ,
იმის მაგივრად, რომ ეცადოს სახელი გაითქვას, ყოველ ლო-
ნისძიებას ჰხმარობს, რომ ქვეყანაზე მისი ვინაობა არავინ
იცოდეს.

—მართლაც, ეს რაღაც გასაკვირველი ამბავია, —დაემო-
წმა ინგლისელი.

—მე და ჩემი ძმა ყოველ ღონეს ვხმარობდით, გაგვეგო

მისი ვინაობა, — განაგრძობდა ვერნე: — მაგრამ, საუბედროოდ, ყოველი ჩვენი ცდა ამაო გამოდგა. ამას გარდა, შემდეგი გარემოებაც გვაკვირვებს: სურათების მიხედვით იფიქრებთ, რომ ეს მხატვარი მეტის-მეტი კეთილი, მგრძნობიარე და მთელის თავის არსებით ხელოვნებისათვის თავგადასდებული კაცი უნდა იყოს; ის-კი თავის ნაწარმოებს მამასისხლად აფასებს და მისგან გამოგზავნილი კაცი მუდამ მზადაა. თითო მანეთობით გვევაჭროს.

— ასე თუა, უთუოდ ბევრ ფულს უნდა შოულობდეს! — ჩაერია ლაპარაკში ინგლისელის თანამგზავრი.

— დიალ, მეც ასე მგონია, მით უმეტეს, რომ ძლიერ მუყაითი მუშაა და მის სურათებსაც მუშტრები სწორედ რომ ხელიდან იტაცებენ. ახლა, მგონი, ციურბში ერთ ხერიან ოჯახს ვერ ჰნახავთ, რომ მისი რამ პატარა სურათი მაინც არ ჰქონდეს, — დაუმატა ვერნემ.

— მაგრამ ნუთუ ისიც-კი არ იცით, სად სცხოვრობს ეს მხატვარი? — იკითხა ინგლისელმა, რომელიც, ეტყობოდა, ძლიერ დაინტერესებული იყო ამ შესანიშნავ მხატვრის საიდუმლოებით.

— წარმოიდგინეთ, რომ ეგეც-კი არ ვიცით! — მიუგო ვერნემ: იმ კაცს, რომელსაც საზოგადოდ ჩვენთან მოაქვს ეს სურათები და რომელმაც — სიმართლე მოგახსენოთ, მხატვრობის დაფასება იცის, არა სურს გვითხრას, თუ სადაურია ის მხატვარი. რაც უნდა ჰკითხოთ ამის შესახებ, მუდამ ერთსა და იმასვე იმეორებს: „ეგ საქმეს არ შეეხება და სურათებთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. „აბი, გვიბრძანეთ, აქ კაცმა რა უნდა ჰქნას?“

— თვალ-ყური უნდა ადევნოთ! — სერიოზულად სთქვა ინგლისელმა

— ეჰ, რამდენჯერმე ვცადეთ, — უბასუხა ვერნემ: — მაგრამ ეს კაცი, თითქოს განგებ, ყოველთვის სხვა-და-სხვა გზით მოდის

ქალაქში და მიდის აქედან, ასე რომ ყოვლად შეუძლებელია გაიგოს კაცმა, სად სცხოვრობს, ქალაქის ჩრდილოეთის თუ სამხრეთის ნაწილში.

— არა, ჩვენს ინგლისში ეგ არ მოჰხდება, — შეჰნიშნა ინგლისელმა: — ასეთი საკვირველი საიდუმლოება, რომელიც ამ გენიოს მხატვარს გარს არტყია, გაფიქრებინებს კაცს, რომ აქ რაღაც არა-ჩვეულებრივი ამბავია.

— ეგ ყველაფერი ადვილი შესაძლებელია, — დაეთანხმა ვერნე და მუშტრები მალაზიიდან გააცილა.

დ. ავალიანი.

(შემდეგი იქნება).





მიქელ თამარაშვილი.



ამშობლო ქვეყანამ კვლავ დაჰკარგა მადლიანი მო-
ამაგე და მოჭირნახულე.

ორს ენკენისთვის, იტალიაში, ზღვის პირას მდებარე
სოფელ სანტა-მარინელლას, ზღვის ტალღებმა შთანთქა ჩვენი
ცნობილი ისტორიკოსი მიქელ თამარაშვილი.

მამა თამარაშვილი თვის მეგობარ პროფესსორ სთან ერთად დასეირნობდა ზღვის პირად. მოსეირნებმა იხილეს, რომ მღელვარე ზღვა სიცოცხლეს უსპობს უცნობს მუშას. შემოგსმათ კვილიც საცოდავისა—ვინა ხართ ქრისტიანენი—მიშველეთო.

ქრისტიანულ კაცთმოყვარეობით გატაცებულ მოსეირნეთ გულმა არ მოუთმინა, იშიშვლეს ტანთ და შეერივნენ აზვირთებულ ზღვას მოყვასის გადასარჩინად, საცოდავ მუშის საშველად. შჳსკურდნენ აგრედვე მენავენი. მუშა გადაარჩინეს სიკვდილს, ხოლო, საუბედუროდ, მის დასახსნელად ზღვაში შესულნი, პროფესსორი ავგუსტო და მღვდელი თამარაშვილი დაიღუპნენ. ავგუსტოს გვამი დაიკარგა უკვალოდ, უძირო ზღვამ შთანთქა იგი. მამა მიქელის გვამი-კი მენავეებმა იპოვნეს და ზღვის პირზე გამოიტანეს. შემდეგ ს. სანტა—მარინელას მიაბარეს მამა მიქელის გვამი.

ასე დაგველუბა სამშობლოს მიერ დაუტირალი და ცრემლდაუყრელი შორეულს იტალიაში დიდი მოამაგე და სამშობლოსთვის გულ-დამწვარი ისტორიკოსი, მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ანუ თამარატი.

განსვენებული მამა მიქელი ღვიძლი შვილია „დიდებულ მესხეთისა,“ იმ მესხეთისა, რომელმაც აჩუქა საქართველოს შესანიშნავნი სჯულმდებელნი, ათაბაგნი ბექა და ალბულა. დღეს ეს ოდესმე აყვავებული კუთხე საქართველოსი ნაოხარს მოგავგონებთ. აღარ გაისმის „მესხეთში“ ძველებურად მგრგვინავი ხმა ამაყის ქართველისა. დიად, დასუსტდა მესხეთი, მაგრამ მაინც კვლავ შესძლო ფრთის გაშლა და გვაჩუქა იმისთანა მოღვაწე, როგორიც იყო მამა მიქელი.

მომეტებული დრო თვისის უდროოდ მოკვეთილის სიცოცხლისა მამა მიქელმა დიდებულ საუკუნო ქალაქ რომში გაატარა. იქ შეითვისა ევროპიული ენები: ლათინური, ფრანგული და იტალიური. საქმარისად მომზადებული ენებში და

ისტორიულ მეცნიერებაში, მამა მიქელი მხნედ, წმინდაველი პიულის შეუპოვარის ენერგიით და გულ-მოდგინედ შეუდგა თვის საყვარელ დაჩაგრულ სამშობლოს წარსულის სვებედის გარკვევას და შესწავლას.

უხსოვარ დროიდან საუკუნო ქალაქ რომს განუწყვეტელი მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა ჰქონდა საქართველოსთან. რომიდან მოსული სხვა-და-სხვა ორდენთა ბერები დიდის ხნობით რჩებოდნენ საქართველოში და თავის ნახულოსა და გაგონილს, თავის დაკვირვებას და მოსაზრებას, — თუ როგორ განმტკიცდეს საქართველოში ქრისტიანობა, რომში უგზავნიდნენ წმინდა ტახტს და თვით რომის პაპებს.

აი სწორედ ამ საუცხოვო ისტორიულ მასალებს დაეწაფა მამა მიქელი, გაარჩია წესსა და რიგზე დაალაგა და ქართულად დაბეჭდა დიდ ტანიან წიგნად ამ სათაურით: «ისტორია კათოლიკობისა საქართველოში». წიგნმა თვალ-წინ გადაგვიშალა — თუ რა ტანჯვა და ვაება გამოეწვია როგორც საქართველოს, აგრედვე თვით კათოლიკობას წარსულ დროებში. დღესაც დაღადებენ ზოგიერთნი, საქართველოში ქართველის ტომის, სისხლის და მოდგმის კათოლიკე არ არსებობსო. ეს ყალბი და ისტორიის წინააღმდეგი აზრი სავსებით გააქარწყლა მამა მიქელის საბუთიანმა წიგნმა. ყველამ აშკარად დაინახა, მტერმაც და მოკეთემაც, რომ უარ-ყოფა ქართველ კათოლიკობისა — უგუნური ახირება და პამპულობაა.

პირველს დიდს შრომას მამა მიქელისას მოჰყვა მეორე და ბოლოს, 1910 წ., ქ. რომში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე დიდ ტანიანივე წიგნი, სახელად: «საქართველოს ეკლესია». დაუფასებელი ღირსება და მნიშვნელობა ამ უკანასკნელის წიგნისა ისაა, რომ მის მეოხებით მთელი განათლებული ევროპა შეიტყობს, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის პატარა საქართველოს კაცობრიობის და ქრისტიანულ სარწმუნოების წინაშე, თუ როგორ სისხლიდან იცლებოდა ქართველი ერი ქრისტეს მოძღვრების დაცვა-შენახვაში, თუ როგორ მხნედ და


ჯვაროსნულად ატარებდა იგი ქრისტეს ჯვარს, ამ საუკეთესო ემბლეზას კაცთ-მოყვარეობისას და სათნოებისას. „საქართველოს ეკლესია“ მამა მიქელისა პირველი შრომაა ევროპიულ ენაზე, დაწერილი ქართველის მიერ და სწორედ ამ გარემოებაში ვპოვებთ მის შეუღარებელ მნიშვნელობას.

მამა მიქელი კვლავ დიდს სამსახურს გაუწევდა სამშობლოს, რომ ბედს არ ეღალატნა ჩვენთვის და ასე უღროოდ არ მოესპო მისთვის სიცოცხლის დღენი. მამა მიქელმა ბევრი ტანჯვა, ვაი და მწუხარება ნახა თვის სიცოცხლეში, მთელი ძალ-ღონე თვისი მსხვერპლად შესწირა სამშობლოს და ჯილდოდ ისიც არ ეღირსა, რომ განესვენა საუკუნოდ საქართველოში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დავალებული ერი არ გამოიჩენს უმადურობას და არ დასტოვებს მამა მიქელის ნეშტს უცხოეთში და მოასვენებს საქართველოში სამუდამო განსასვენებლად. სიცოცხლით თუ ვერ ვხედავდით, მიცვალებულის საფლავს მაინც დავხედავთ ათასში ერთხელ და მოვიგონებთ მის დიდსა და კეთილს ამაგს..

ალ. ყიფშიძე.





ლაზური ზღაპრები.

III

ყველა ქალი ერთი არ არის.



რთ ლამეს ფადიშა თავის მხლებელით სასეირნოდ გამოვიდა. გარეშემო სრული სიბნელე იყო. არც ერთ სახლში სანთელი არ ენთო, გარდა ერთის სახლისა, და იმ სახლთან მივიდნენ. იმ სახლში სიყვარულ შეფიცული ქალ-ვაჟი სცხოვრობდა. არავითარი საქმე არ ჰქონდათ. ქალის მუხლზედ ვაჟს ეძინა. ვაჟი გამოიღვიძებდა და მერე მის მუხლზე ქალს ეძინა. ფადიშამ და მისმა მხლებელმა ჰკითხეს ქალ-ვაჟს: „რა საქმე გაქვთ? ასე ორივე მშვენიერი ერთმანერთს როგორ შეხვდითაო“? იმათ უპასუხეს: „ჩვენ შეყვარებულნი ვართ და ერთმანეთის შენაფიცარი, რომ მხოლოდ და მუდამ ერთმანეთის ყურებით ვსტკებოდეთ“. ფადიშა მხლებლითურთ გამობრუნდა და სასახლისკენ წავიდა. შემდეგ ამ სახლთან დერვიში*) მივიდა და ქალს უთხრა: „ასე ლამაზი რომ ყოფილხარ, ეს რომ ფადიშას ადრე სცოდნოდა, ცოლად ის წაგიყვანდაო“. ქალმა უთხრა: „ჩემის სილამაზით რა

*) „დერვიში“ (თათრ.—სპრ.)—ღვთის გულისათვის ღატაკი, მაჰმადიანთა სასულიერო კაცი.



იქნება?“ და თავზე ხელი გადაისვა. დერვიში მიხვდა, რომ კარგის გულის ქალი არ იყო. გამობრუნდა და წავიდა.

სამ დღეს შემდეგ, დერვიში ისევ მივიდა იმ სახლთან. ძირს ეზოში ბავშვები კოჭაობდნენ, ზევიდან კი ტირილის ხმა ისმოდა. დერვიშმა ბავშვებს ჰკითხა: „რა ამბავია, რისთვის სტირიანო?“ ბავშვებმა უბასუხეს: „ერთი ლამაზი ვაჟი და ერთი ლამაზი ქალი იყვნენ აქ შეყვარებულები. ქალმა ის თავის საქმრო მოჰკლა და ახლა ვაჟის დედ-მამა სტირისო“. დერვიშმა ეს ამბავი ფაღიშას მოახსენა. ფაღიშამ ბრძანება გასცა, მთლად ქალები, გათხოვილი თუ გასათხოვარი, ამოეწყვიტათ. მართლაც შეუდგნენ ამ სასტიკ ბრძანების აღსრულებას და დაიწყეს მთელ სახელმწიფოში ქალების ხოცვა-ჟლეტა. ფაღიშასთან შესახვეწად ფაშები მივიდნენ: ნუ ინებებთ ქალების გაწყვეტასაო, მაგრამ ფაღიშამ მათი შუამდგომლობა არ შეიწყნარა. ამ დროს ფაღიშასთან მივიდა აბას-ფალავანდი, რომელიც ერთ დროს სახელ-განთქმული ყაჩაღი იყო, და ფაღიშას შემდეგი უამბო: „ჩემის ყაჩაღობის დროს თვრამეტი ამხანაგი მყავდა, ყველა ჩემსავით კარგად ჩაცმულ-შეიარაღებული. ორმოც წელს შემდეგ, თავი დავანებე ყაჩაღობას, ერთ ამხანაგს უფროსობა გადავეცი, შევჯექე ჩემ ალა-ფაჩაზე*) და გამოვსწიე ჩემ კარ-მიდამოსკენ. გზაში ერთ სასტუმროში ჩამოვხდი და ცხენი მოსავლელად მივაბარე. სასტუმროს გამგეს უთხარი: „მე სასტუმროს აივანზე ვიქნები და, როდესაც დავიძახო, ჩემი ალა-ფაჩა შეკაზმული მომიყვანე-მეთქი“. ამ დროს ერთი დელიყანი**) მოუახლოვდა სასტუმროს. როგორც მე თვრამეტის წლის ვაჟაკი ვიყავი გამოწყობილი, ისიც სწორედ ისე იყო ჩემსავით გამოწყობილი. ცხენი დააჭედინა, შეჯდა ისევ და წავიდა. სასტუმროს გამგეს დაუძახე: „აბა, ჩქარა ჩემი ალა-

*) „ალა-ფაჩა“ ცხენის სახელია.

**) „დელიყანი“ (თათრ.)—წარმოსადეგი კაცი, სახელოვანი, გმირი.

ფაჩა მომიყვანე-მეთქი! * შეკაზმული მომიყვანა: შევეჯექ და წავიქცე მოვეწიე დელიყანს. უკანიდან ჩუმად ერთი ლახტი გადავკარი. დელიყანმა არავითარი ყურადღება არ მომაქცია, თითქოს ვერც კი გაიგო. შიშით კანკალმა ამიტანა, მაგრამ ისევ უკან მივდევ. კარგა მანძილი რომ გავიარეთ, უფრო მაგრა მოვიქნე ლახტი და კიდევ დავკარი. დელიყანმა მოიხედა და „რა ამბავიაო“ მკითხა. „ცხენმა წაიფორხილა-მეთქი“ — უპასუხე. ის მიბრუნდა და ისევ მიდის. მე შიშის ოფლმა დამასხა. ისევ უკან მივდევ. ცოტა გზა კიდევ რომ გავიარეთ, რაც ძალი და ღონე მქონდა, ლახტი მოუქნე და დავკარი მესამედ. დელიყანმა მოიხედა და მითხრა: „მტვრად გაქცევა“. მე შიშით კინაღამ გადვირიე, მაგრამ მაინც უკან მივდევ. რა ვქნა? მოშორება არ შემიძლიან. ასე რომ მივდიოდით, ერთ გორაზე ავედით. დელიყანმა მითხრა: „ერთი ყავა მომიღუღეო“. მეც ყავა მოუღუღე. ის იქვე დაჯდა და ქვევით შორსმჭვრეტით იწყო ყურება, თავს აქეთ-იქით აქნევდა. დამიძახა და მითხრა: „აჰა, ამ შორსმჭვრეტეში გაიხედე, აბა, თუ სადმე რასმე დაინახავო“. შორსმჭვრეტით დავიწყე ყურება. — „ჰხედავ რასმეო?“ მკითხა. უპასუხე: „ერთ ადგილას კვერცხისოდენა თეთრი რალაც სჩანს-მეთქი“. მან მითხრა: „მე იქ მივდივარ. თუ გინდა, წამომყევი, თუ არა დაბრუნდი და შინ წადიო“, მე უპასუხე: „არა, მეც მოვდივარ-მეთქი!“ — „მაშ, თუ მოდიხარ, ადგილს ცხენები მოიყვანე და წავიდეთო“. კვერცხისოდენა თეთრს თანდათან დაუახლოვდით. ეს კვერცხი გაიზარდა, გადიდდა და სახლს დაემგზავსა. დელიყანმა მითხრა: „მე აქ უნდა შევიდე, შენ გარედ მომიცადე ნახევარ საათს, თუ გამოვედი, ხომ კარგი, თუ არა და — ცხენები წაიყვანე და შენთვის წადიო“. ნახევარ საათს შემდეგ, დელიყანმა დამიძახა: „აბას-ფალავანდო, შენი მტრის თავიც ასე მოგეჭრას და გადაგეგდოსო“, და ამ სიტყვებთან ერთად მოჭრილი თავი გადმოისროლა. ის თეთრი რომ მოსჩანდა, თურმე დე-



ვის სახლი ყოფილიყო. რაც რამ ქონება იყო იქ დევნილებს ვიღეთ და წავედით.


მივედით ერთ ქალაქს. სხვა და სხვა საქონელი მოედანზე იყო დაწყობილი. — „შენ აქ დაიცადეო“, მითხრა დელიყანმა, „ნახევარ საათს მიცადე; თუ არ გამოვიდე, ცხენები და ყველა ეს საქონელი შენი იყოს, წაიღე და წადიო“. ნახევარ საათს ვიცადე, გულმა აღარ მომითმინა და მეც იმ სახლში შევედი, რომელშიაც დელიყანი შევიდა; შევედი და რას ვხედავ? ამ დელიყანს ერთის ხელით დანა დაუბჯენია გულზე და მეორეთი კი წერილი უჭირავს და კითხულობს. — „რისთვის მოხვედიო?“ მითხრა. მე უთხარი, გულმა აღარ მომითმინა და მოვედი-მეთქი. დელიყანმა მითხრა: — „ვინცა ვარ, გეტყვი. ის მოჭრილი თავი დევნისა იყო. მე ქალი ვარ. ჩემი ქმარი იმ დევმა მოჰკლა და მეც ამიტომ ამას თავი მოვკერიო. ეს ღუქნები ჩემის ქმრისა იყო. შენ რომ მკლავდი ლახტით, გეგონა, ფული მიმქონდა, ჩემ ხურჯინში-კი ლურსმნების მეტი არაფერი იყო და ამისათვის მომდევდი და მკლავდი?! მე ახლა, ჩემის ქმრის მოკვლის შემდეგ, ეს სიცოცხლე აღარ მინდაო“. ეს მითხრა თუ არა, დაიცა გულში დანა და თავი მოიკლა.

აბას-ფალავანდმა რომ ეს ამბავი დაასრულა, ფადიშას უთხრა: „შენ თუ ისეთი ქალი გინახავს, რომ თავისი ქმარი მოჰკლა, მე ასეთი მინახავს, რომ თავის ქმრის მტერს თავი მოსჭრა და ქმრის გულისათვის თავის თავიც მოიკლა. ისეთი ციქნება და ასეთი ცა“.

ფადიშამ ქალების ხოცვა-ჟლეტაზედ ხელი აიღო.


ი. ყიფშიძე.





უპატიულო ტელეგრაფი.

(შემდეგი)



ინათლე, ელექტრონი და სითბო, სწავლულების გამოკვლევით, თითქოს ერთმანეთს ენათესავენ: წარმოსდგებიან რომელღაც ჩვენთვის უცნობ ძალისაგან, მაგრამ თვითეულ მათგანს შეუძლიან გადასვლა მეორეში — მონათესავეში.

ასე, მაგალითებრ, ელექტრონი გვაძლევს სითბოს და სინათლეს, და, პირიქით, ამ უკანასკნელის შემწეობით, შეიძლება ელექტრონის გაჩენა. ამასთან შესანიშნავია ის, რომ ენერჯის რაოდენობა ყოველთვის რჩება უცვლელი. ვსთქვათ სხვანაირად — ელექტრონის ნაწილს შეუძლიან გადასვლა სინათლეში (ელექტრონის განათება), მაგრამ რაოდენობა სინათლისა და ელექტრონის ენერჯისა დარჩება ისევ ის, რაც იყო წინაღვთისთვის ენერჯისა აღნიშნულია სწავლულთაგან, როგორც კანონი ენერჯის უცვლელობისა. ისთვისება, რომ ერთ ენერჯიას შეუძლიან გადასვლა მეორეში, იყო შემჩნეული კარგა ხანია, მაგრამ ამის აღსნა სწავლულებმა შესძლეს მარტო მით, რომ იყო დამყარებული წარმოდგენა ყველაფრის გამავსებელ ეთერის არსებობისა და რომ ენერჯიას ამ ეთერში შეუძლიან გავრცელება ტალღებით.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელმამე ენერჯიამ ეთერის ნა-

წილს დააწყებინა კროლოვა. უკანასკნელი გადადის მახლობელ ნაწილზე, მოჰყავს მოძრაობაში; თავის მხრივ ამოძრავებს შემდეგს მახლობელ ნაწილებს და ასე კიდევ, დაუსრულებლად.

ერთის სიტყვით, სინათლე, ელექტრონი და სითბო ვრცელდება ეთერის ტალღების კროლოვით. ორმოცის წლის წინად გამოჩენილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა კლარ კოსკველმა აღსნა განსხვავება სინათლესა და ელექტრონს შუა მარტო მათი ტალღების სიგრძის განსხვავებით. მის მოსაზრების დამტკიცება კი შესძლეს კარგა ხანს შემდეგ, როცა მოიგონეს ისეთი სწორე იარაღები, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდა გაგება ტალღის სიგრძისა და კროლოვის რაოდენობისა წამში. ამ იარაღებით გაიგეს, რომ ელექტრონის სინათლე გადას 217,500 ვერსს წამში. ცოტა ხანს შემდეგ, სწავლულმა ჰერცმა, რომელმაც დიდი შრომა შეაღია ეთერის ტალღების შესწავლას, დაამტკიცა, რომ სინათლის მოვლენანი—განყენება, ზნექვა და შეკრებილება მის სხივებისა არის თვისება, როგორც ელექტრონისა, ისე სითბოსი.

სწორე იარაღების მეოხებით შესძლეს იმის დამტკიცება, რომ ეთერის ტალღები სიგრძით დიდად განსხვავდება ერთმანერთისაგან. ენერჯის ღირსება, მისი მოქმედება ჩვენს სხეულზე და ფიზიკურ იარაღებზე მთლად დამოკიდებულია ეთერის ტალღების სიგრძეზე; რომელიც ენერჯით არის გამოწვეული. მაგალითებრ, სიგრძე სინათლის ტალღებისა სხვა და სხვა; ამაზე დამოკიდებულია ფერი სინათლისა. თუ ტალღების რიცხვი 500 ბილიონამდე აღის წამში, სიგრძე კი თვითეულისა $\frac{1}{40000}$ გოჯ., ჩვენ ვხედავთ წითელ ფერს; როცა მათი რიცხვი წამში ორჯელ მეტია, სიგრძე კი ორჯელ ნაკლები, ე. ი. $\frac{1}{80000}$ გოჯ.— ვხედავთ იის ფერს. დანარჩენი ფერები ეთერის ტალღებისა, მათის რიცხვისა და სიგრძის დაგვარად წამში, ნაწილდება იისა და წითელ ფერ შუა.

თუ ტალღების რიცხვი წამში უფრო აღიმატებს ან ნაკლებს სიგრძე შემცირდება, მაშინ ჩვენი სხეული ვეღარ ითვისებს, ვეღარ ჰხედავს ფერს. სხეული საკმაოდ არ არის გრძობიერი, რომ ფერი გაარჩიოს. მართა მაშინ, როდესაც ტალღების რიცხვი 150-დე აღის წამში, სხეული ისევ იწყებს გრძობას ამ ეთერის კრთოლვისას, მაგრამ სინათლის სახით კი აღარა, არამედ სითბოს სახითა.

თუ სხეულს შევცვლით სხვა იარაღით, გრძობიერით ეთერის ყოველ კრთოლვისადმი, მაშინ იქნებ შეგვძლებოდა განგვესაზღვრა თვისებანი იმ ენერჯისა, რომელიც იძლევა რხევათა მეტ რიცხვს, ვიდრე სინათლე, და რომლის ტალღების სიგრძე უფრო აღიმატებს ან ნაკლებია, ვიდრე სინათლისა. სწავლულმა ჰერცმა, რომელიც ზევით ვახსენეთ, ამისთანა იარაღების შემწეობით, „დაინახა“ ელექტრონის ენერჯია; დანარჩენმა სწავლულებმა აღმოაჩინეს ესრედ წოდებული X-სხივები.

ეთერის ტალღები ატანს მკვირვ სხეულში. თუ მოვათავსებთ თვალსა და ანთებულ სანთელს შუა შუშას, შუშა არ დაუშლის ტალღების გავრცელებას, და ჩვენი თვალი დაინახავს სინათლეს, შუშა „გამჭვირვალა“. თუ ამ ცდაში შუშა შევცვალეთ ლითონის ფირფიტით, ჩვენი თვალი ვეღარ დაინახავს სინათლეს: ლითონის ფირფიტა არ არის „გამჭვირვალე“. მაგრამ თუ სინათლის მაგიერ ვიხმართ ელექტრონის ენერჯიას, ელექტროს დენას, სულ სხვა აღმოჩნდება. იარაღი, რომელმაც ახლა უნდა დაიჭიროს თვალის ალაგი, აღნიშნავს ელექტრონის ტალღების არსებობას; გვიჩვენებს, რომ ელექტრონის ტალღებმა არ გაატანა შუშაში, მაგრამ გაატანა ლითონის ფირფიტაში. ისე რომ ამ შემთხვევაში გამოდგა „გამჭვირვალე“ ლითონის ფირფიტა, და არა შუშა, როგორც წელან.

ეს იმითი იღსნება, რომ ეთერის წვრილი ნაწილები, რომლებიც არსებობს ნივთიერებაში, ისეა განაწილებული, რომ


ზოგჯერ ადვილად გაატანს შიგ გრძელი ტალღები, კი ირევა, მათი სიგრძე იცვლება, ამავე სხეულებში ატანს, მაგრამ სხვა ენერგიის ძალით. ასე, მაგალითებურ, როცა ჩაეყენებთ ანთებულ სანთელსა და თვალს შუა ლითონის ფირფიტას, სინათლეს ვერა ვხედავთ, მაგრამ შეგვიძლიან ვიგრძნოთ სითბო. მაშასადამე, ყოველი ნივთიერება „განიმსჯვალება“ საქვეყნო ენერგიით, მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ ზოგჯერ ეგ ენერგია იცვლის სიგრძეს ეთერის ტალღებისას.

ზემოხსენებულმა იტალიელმა მარკონიმ შეიგნო ზედმიწევნით ენერგიის თვისებანი და ტელეგრაფის გასაუმჯობესებლად სულ სხვა გზას მიჰპართა.

მარკონი ასე მსჯელობდა: თუ ეთერი იტევს ყველაფერს და თუ ელექტრონი მარტოოდენ წარმართება ეთერისა, მაშინ საკმაოა რომელსამე ალაგას წარმართვა მისი, რომ ეთერის ტალღები, როგორც ტალღები, აღმოცენებული გუბეში ჩაგდებულ კვით, გავრცელდეს ყოველ მხრივ. თუ მერე შევძლებთ ამ ეთერის ტალღის დაკავებას აღნიშნულ მანძილზე და იგი ტალღა გამოიჩენს რაიმე მოქმედებას მისაღებ იარაღზე,



მარკონი და იმისი აპარატი მცირე მანძილზე პირველ ვარჯიშობის დროს.




მაშინ ეს საკმარის იქნება, რომ გადაიცეს ნიშნები ლოდ.

მაშასადამე, ყველაზე უწინარეს, საჭიროა ეთერის ამოძრავება დანიშნულ მანძილამდე; მერე დაკავება ამ ამოძრავებულ ეთერის ტალღისა.

ასამოძრავებლად მარკონიმ გამოიყენა არა დინამიური ელექტრონი, რომელიც გადარბის ელექტრონის გადამცემელზე და რომელსაც იყენებენ ჩვეულებრივ ტელეგრაფში, არამედ სტატიური ელექტრონი. აშკარაა, რომ, თუ ლეიდენის შუშას, საცა მოგროვილია სტატიური ელექტრონი, მიუახლოვეთ ბურთი, გავსებული მოპირისპირე ელექტრონით, და დავიკავებთ ეს ბურთი წინააღმდეგ დანიშნულ მანძილზე შუშიდამ, მაშინ მოპირისპირე ელექტრონები, შეგროვილები ლეიდენის შუშაზე და ბურთში, მიისწრაფიან რა შესაერთებლად და განიციდიან რა წინააღმდეგობას, ჰაერის კეცებრ აჩენენ ნაპერწყალს. ნაპერწყლის გაჩენა ჰბადავს სინათლეს და ტაკუნს: მაშასადამე, ამ ალაგას მყოფი ეთერი ირყევა.

რყევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ელექტრონი შეკრებილია და რა მანძილია ბურთსა და ლეიდენის შუშას შუა (შემდეგში ვიტყვით გასარკვევად — ორ ბურთს შუა, რადგან ლეიდენის შუშაც შეიძლება შევცვალოთ ბურთად შეკრებილ ელექტრონით). მანძილი ბურთებ შორის სცვლის ეთერის ტალღების სიგრძეს და ძალა ბურთების შეხლისა სცვლის რიცხვს ტალღების რყევისას თითოეულ წამში. მარკონი იყენებდა თავის ცდაში იმისთანა ტალღებს, რომელიც გამოიკვლია გერმანელების სწავლულმა ჰერცმა, სახელდობრ 230 მილიონ რყევამდე წამში, ე. ი. სინათლის ტალღებისაზედ ცოტათი ნაკლებს.

ასეთ ტალღების გასაჩენად მარკონიმ დასდგა ორი ბატარეა და გაიყვანა მათგან ელექტროს დენა მავთულებით სპილენძის ორ ბურთთან, რომელიც დამყარებული იყო ერთმანერთს ახლო.




ელექტროს ნაპერწკლები ბურთებს შუა და გარეშამო ელექტრონის ტალღების თანდათან გავრცელება.

გაუშვებდა ელექტროს დენას ბატარეიდან, აგროვებდა ელექტროს ბურთებზე, საცა ელექტრო სკდილობდა შეერთებულიყო ჰაერში და იძლეოდა ნაპერწკალს, ე. ი. ჰვზანინდი სივრცეში ეთერის ტალღებს. იხზობოდა ელექტროს დენა ბატარეიაში და ნაპერწკალი იკარგებოდა. ახლად გამოშვებულ ელექტროს დენაზე იბადებოდა ახალი ნაპერწკალი და ასე შემდეგაც... ნაპერწკლების გამოწვევა მთლად დამოკიდებულია იმ ადამიანზე, რომელსაც გაჰყავს ელექტროს დენა ბატარეიდან. მას შეუძლიან როგორც მომატება, ისე შემცირება დროსი ამა თუ იმ ნაპერწკლების გამოწვევის შუა. თუ ბატარეიას მოუმარჯვებთ მოსაწყობს ჩვეულებრივ ტელეგრაფის გასადებიოთ, მაშინ შეიძლება ელექტროს დენა დავამყაროთ ისე, და ისეთ დროს გაუშვათ, რომ შეეფარდოს ჩვეულებრივ ტელეგრაფის ნახაზ წერტილებსა და ხაზებს.

დ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).




ტროაღის ომი.

პატროკლოსის სასიკვდილოდ დაჭრა.



ელლინთა და ტროადელების მხედრობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახნენ ერთი მეორეს ბრძოლის ველზედ. ტროადელთა მხედრობა პატროკლოსის დანახვაზედ ერთბაშად შეშფოთდა, რადგან აქილევსის იარაღში გამოწყობილი პატროკლოსი თვით აქილევსად მიიშჩინეს. ტროადელები ღრმად დარწმუნებულებიყვნენ, რომ ელლინთა მხედრობას აქილევსი მთავარსარდლობს და კიდევ ამიტომ დიდ საგონებელს მიეცენ.

ძღვეა-მოსილი პატროკლოსი არწივივით თავს დასტრიალებდა ბრძოლის ველს და ყველგან და ყოველთვის იმედსა და მხნეობას უნერგავდა გულში თვითოეულს მეომარს. ელლინთა მხედრობამ იერიში იერიშზედ მიიტანა მტერზედ და სულ მოკლე ხნის განმავლობაში ტროადელების რაზმები ერთიანად განდევნა ხომალდებიდან. გამხნეებულნი ელლინთა მეომარნი ახლა უფრო თავდავიწყებით შეებრძოლნენ მოსისხლე მტერს. გაჩაღდა საშინელი ომი. დედამიწა ერთიანად ზანზარებდა. სისხლის ნაკადულები ბრძოლის ველზედ ზღვასავით ბობოქრობდა და თავისუფლად შებრძოლებას აძნელებდა. ელლინთა მეომარნი მაინც მტერზედ მედგრად მიიწევდნენ.



იწევდნენ. მხედრობის საუკეთესო სარდლები: მენელაოსი, ანტილოხოსი, ორივე აინტი, იდომენეოსი და მრავალი კიდევ სხვანი მეომრებს ამხნევებდნენ და თვითონაც მამაცურად მტერს უმკლავდებოდნენ. ელინთა მხედრობამ ტროადელების მრავალი მეომარი და სარდალი სამუდამოდ გამოასალმა წუთისოფელს. ამ ცხარე და შეუბრალებელ ბრძოლის დროს თვით პატროკლოსმა სასიკვდილოდ გული გაუგმირა ლიკიელების მთავარ-სარდალს, გმირთა გმირს სარპედონს. ლიკიელების მთავარ-სარდალის სასიკვდილოდ დაჭრამ განუსაზღვრელი სიხარული გამოიწვია ელინთა მხედრობაში. გამხნევებულმა მეომრებმა იერიში იერიშზედ მიიტანეს ტროადელებზედ და ბოლოს კიდევ უკუ აქციეს მტერი. ტროადელების მთელმა მხედრობამ ტროადის ბჰის კარისაკენ იბრუნა პირი ჩქარის ნაბიჯით. თვით ძღვევა მოსილი ტროადელების მთავარსარდალმა ჰექტორმაც შიში იგრძნო და თავის მხედრობასთან ერთად ქალაქისაკენ მიაშურა. უკუქცეული ტროადელების მხედრობა მეტად შეაფერხა იმ ღრმა თხრილმა, რომლითაც გარს შემოზღუდული იყო ელინთა ბანაკის მახლობელი ადგილები.

პატროკლოსის მიერ გამხნევებული მეომრები სწორედ ამ თხრილთან მოეწივნენ ტროადელებს და მრავალი მათგანი სამუდამოდ გამოასალმეს წუთისოფელს. ტროადელებმა დიდის გაჭირვებით გადალახეს ეს ღრმა თხრილი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ქალაქისაკენ გარბოდნენ. პატროკლოსი კვალ და კვალ მისდევდა მოსისხლე მტერს. ძღვევა მოსულ გმირს სრულიად დაავიწყდა თავის გულითად მეგობრის აქილევსის გაფრთხილება, რომ მტერს კვალ და კვალ ნუ სდევ და შორს ნუ გაჰყვებიო.

ელინთა და ტროადელების მხედრობამ თითქმის ერთსა და იმავე დროს მიაღწიეს ტროადის გარდაუვალ და მარჯალს კედლებთან. ასტყდა საშინელი და გულის შემზარავი ბრძოლა. ორთავე მხარეს მეომრები თავდავიწყებით ერთი მეორეს უმ-



კლავდებოდნენ და უკანასკნელ სჯლის ამოსუნთქვამდნენ რაღს ხელს არ აშორებდნენ.

ყოველს ექვს გარეშე იყო, რომ პატროკლოსი თავის ძლევა მოსილ მხედრობით მტერს მამაცად სძლევდა და თვით ქალაქსაც აიღებდა, რომ აპოლონონ ღმერთი არ გამოსარჩლებოდა ტროადელებს. სამჯერ მამაცურად ავიდა პატროკლოსი ტროადის მაღალს კედლებზედ და აპოლონონ ღმერთმა სამჯერვე უკუაგდო. პატროკლოსი მიინც თავისას არ იშლიდა და იერიში მიჰქონდა ქალაქზედ. განრისხებულმა აპოლონონ ღმერთმა მკვახედ შსძახა პატროკლოსს, როცა ძლევა მოსილი გმირი მეოთხეჯერ ავიდა ქალაქის მაღალსა და აუვალს კედლებზედ: „პატროკლოს, დაუყონებლივ დასტოვე ტროადის კედლები! ტყუილად გგონია, რომ ტროადის სიმაგრეებს შეანგრევე შენის ბასრის ლახვართ! ამას, შენ-კი არა, შენზედ გაცილებით უფრო მამაცი აქილევსიც ვერ შესძლებს!“ პატროკლოსს შეეშინდა ისარ-მტყორცნელ აპოლონონ ღმერთის რისხვისა და დაუყონებლივ ჩამოაშორა თავისი ძლევა მოსილი მხედრობა ილიონის სიმაგრეებს.

ტროადელების მთავარსარდალი ჰექტორი ამდროს მწუხარედ იდგა სკეის ბჰის კარებთან და ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა გაელაშქრნა მტრის წინააღმდეგ, თუ ილიონის ზღუდეთა შორის ჩაკეტილიყო. ამდროს ჰექტორს გამოეცხადა აპოლონონ ღმერთი ახალგაზდა და მამაც ბიძის სახით და შეაგონა, რომ დაუყონებლივ ბრძოლის ველზედ გასულიყო და მტერს მედგრად შებრძოლებოდა. ჰექტორმა, მართლაც, ხმა მალლად შეჰყვირა მხედრობას და ელლინთა მეომრებისაკენ ელვის სისწრაფით გაემართა. კვლავ გაჩაღდა სამკედრო—სასიცოცხლო ბრძოლა ელლინთა და ტროადელებს შორის. პატროკლოსი და ჰექტორი არწივივით თავს დასტრიალებდნენ თავთავიანთ მხედრობას და ყოველის საშუალებით ამხნევედნენ თავ-განწირულ მეომრებს. პატროკლოსი გააფთრებულ ლომი-

ვით სამჯერ შეიჭრა ტროადელების რაზმებში და საუკეთესო გმირები შეუბრალეבלად გამოასალმა წუთისოფელს. პატროკლოსმა მეოთხეჯერაც განიზრახა ტროადელების რაზმების გაფანტვა, მაგრამ ამ დროს გმირს უკანიდან უხილველად მიუახლოვდა აპოლონონ ღმერთი და მძლავრად ხელი ზურგში ჩაჰკრა. ელიონთა მხედრობის მთავარ სარდალს თვალი დაუბნელდა. აპოლონონ ღმერთმა პატროკლოსს თავიდან ჩაჩქანი ჩამოჰგლიჯა, ლახვარი ნაკუწ-ნაკუწად დაუმსხვრია, მხრებიდან ჯავშანი ჩამოაშორა და ფარი მკლავზედ გადაამტვრია. სრულიად უიარალოდ დარჩენილი გმირი უგონოდ იდგა და ერთსა და იმავე ადგილიდან არ იძროდა. პანთოოსის შვილმა ეფფორბოსმა, დაინახა თუ არა ელიონთა ძღვევა მოსილი გმირი უიარალოდ, დაუყონებლივ მიეპარა უკანიდან და ზურგში ბასრი ლახვარი ჩასცა. პატროკლოსი ესეთის კრილობის შემდეგ მაინც ფეხზედ იდგა. ეფფორბოსმა ვერ გაბედა მეორედ ლახვრით განგმირა უიარალოდ დარჩენილ პატროკლოსისა და ფეხ-აკრეფით თავის მოძმეების რაზმებისაკენ გაეშურა დასამალავად.

ჰექტორმა, როცა შენიშნა, რომ მისი მოწინააღმდეგე დაქრილია და ბრძოლის ველს თავს ანებებს, დაუყონებლივ მიიჭრა მასთან და შეუბრალეבלად სტყორცნა დიდებულს გმირს ბასრი ლახვარი და სასიკვდილოდ დასჭრა აქილევისს გულითადი მეგობარი.

ჰექტორი მიუახლოვდა მომაკვდავ პატროკლოსს და დაცინვის კილოთი უთხრა: „მაშ, როგორაა ახლა საქმე, პატროკლოს! აკი შენ ფიქრობდი თვით ქალაქის დაპყრობას და მის კედლების მიწასთან გასწორებას! ჰმ! განა შენ სულითა და გულით არ იყავი მოწადინებული ტყვედ წაგეყვანა ჩვენი ცოლშვილი და ხომალდებით გაგესტუმრებინა შორეულს არგოსში! დიად, ყველა ეს შენი შეურყეველი სურვილი იყო, მაგრამ ხომ გაგიგონია, კაცი ერთსა ფიქრობს და ღმერთები-კი

სულ წინააღმდეგ მსჯელობენო? აჰა, დიდებული პატროკლოს როცა ტროადის განადგურებას ფიქრობდი, რად გავიწყდებოდა იმავე დროს, რომ ილიონის მალაღსა და მიუვალს კედლებს ისეთი დიდებული და გულ შემატკივარი დამცველი ჰყავს, როგორიც არის ჰექტორი! ვერა გიშველა რა ხომ ვერც შენმა გულითაღმა მეგობარმა აქილევესმა! შენ კი უეჭველია შენს მეგობარს აღუთქვამდი, ბრძოლის ველიდან ისე არ დავბრუნდები, თუ სასიკვდილოდ განგმირულს ჰექტორს გასისხლიანებული ჯავშნები ტანთ არ გავხადეო! დიად, ეს ასე იქნებოდა, მაგრამ ხედავ, როგორ უკუღმა დატრიალდა საქმე! შენ უძრავად აქ წევხარ და სულ მოკლე ხანში საზარელი მატლები შეუბრალებლად დაგიღრღნიან მთელს სხეულს“.


მომაკვდავმა პატროკლოსმა ოდნავ გასაგონის ხმითა მწუხარედ უპასუხა ჰექტორს: - გაიხარე, ჰექტორ, დიდებულის გამარჯვებით, ხოლო ნუ ტრაბახობ! ტრაბახი გმირს არ შეშვენის! შენ კი არა, ღმერთების მამათმთავრის ზევსის სურვილის თანხმად, აპოლონ ღმერთმა მძლია! შენ რომ ღმერთები არ გამოგსარჩლებოდნენ, განა ჩემს წინააღმდეგ ასე გაბედულად გამოლაშქრებას შესძლებდი? შენისთანა მეომარი ოციც ვერ გამიმკლავდებოდა! დიდათ თავი მოგაქვს, კიდევაც მგდიდურობ, თითქო გამარჯვება პირადად შენ გეკუთვნოდეს! შენ რა შუაში იყავი, როცა აპოლონ ღმერთმა იარაღი ამყარა და შემდეგ ევფორბოსმა უიარაღოდ დარჩენილი და ისეც მალულად ლახვართ ზურგში დამჭრა. შენ მხოლოდ უმწეო, გონება დაკარგულსა და უიარაღო კაცზედ გამოიჩინე გმირობა! გახსოვდეს, რომ ეს ვერაფერი დიდი გმირობაა! მე ხომ ვკვდები, ვესალმები წუთისოფელს, მაგრამ უნდა იცოდე, რომ არც შენი სიცოცხლეა დღევრძელი! გახსოვდეს, რომ ძლევა მოსილ აქილევესის ბასრი ლახვარი სულ მოკლე ხანში სიცოცხლეს მოგისპობს!“ ამ სიტყვების შემდეგ დიდებულმა გმირმა სამუდამოდ დაჰხუჭა თვალები.

ჰექტორმა პატროკლოსის გვამს ასეთის სიტყვებით მიმართა უკანასკნელად: „შენი წინასწარმეტყველება, პატროკლოს, შენვე საიქიოს თან წაიყოლიე და იმედს ნურასოდეს ნუ დაჰკარგავ! ვინ რა იცის, ვინ ვის გაგმირავს სასიკვდილოდ, აქილევსი — მე, თუ მე—აქილევსს!“


ამ სიტყვების შემდეგ ჰექტორმა საჩქაროდ ამოაძრო თავისი ლახვარი პატროკლოსის გვამის კრილობიდან და ლახვარით ხელში უკან გამოუდგა აქილევსის მეეტლეს ავტომედონს. ფეხ-მალმა ცხენებმა ელვის სისწრაფით გაიტაცეს დიდებულ აქილევსის მეეტლე და ამნაირად გადაარჩინეს იგი უეჭველ სიკვდილს.

ა. მიქაბერიძე.





შ ა რ ა ლ ა .



ირველი ანბანთ ასოა,
თავს მჯდომი მედიდურადა;
მეორეს კომშსა უხმობენ
დასავლეთს იმერულადა.

მესამე გამომთქმელია
ტკბილ-სევდიანის ხმებისა,
ერთგული ამხანაგია
სუყველგან დამკვრელებისა.

მთელი-კი სახელი არის
მიმღების *) ქრისტეს სჯულისა;
ვინც გამოიცნობს, მიირთვას
კუნწულა ბროწეულისა.



*) პირველად ამ კაცმა იწამა ქრისტეს სჯული საქართველოში.

რ ე ზ უ ს ი.

წარმოდგენილი კ. დარაშვილის-მიერ.

